გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ gmail.com

სამტრედიის მაცნე

N30 (9317) | 31 ოქტომბერი. 2019 წელი | ფასი 50 თეთრი

„სამტრედიის მაცნე“ 89 წლისაა

პროექტი „ღია შეხვედრები“ მორიგ ლოკაციებს ირჩევს

2

გლეხისთვის არაფერი შეცვლილა არც ამ და არც იმ ხელისუფლებაში

3

არჩევნები არაფერ შუაშია

5

ინფრასტრუქტურა და სოციალური პროგრამები ბიუჯეტის პრიორიტეტებია

გთხოვთ, გაიხსენოთ, ხომ ბავშვების გულში ბინადრობთ

9

7

სიყვარულით მოსაუბრე საბავშვო ლექსები

უარი ნარკოტიკს, უარი ნარკომანიას

6

სამრეკლოზე ჯვარი აღიმართა

4

არჩევნები არაფერ შუაშია

ლევან გაბეჩავა

დიახ, წინასაარჩევნო პერიოდი ამჯერად არაფერ შუაშია. ხელისუფლების წარმომადგენლები მოსახლეობასთან შეხვედრებს აგრძელებენ და ადგილებზე ნახულობენ, ისმენენ პრობლემების შესახებ, ეძიებენ მათი აღმოფხვრის გზებს.

21 ოქტომბერს მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია, მერიის სამსახურების წარმომადგენლები დაბა კულაშს, სოფლებს ეწერსა და ბაშს ეწვივნენ. მათთან ერთად იყვნენ იმერეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილე ლევან კვანაველიძე და მმართველი პარტიის ცენტრალური და სამხარეო ოფისის წარმომადგენლები.

პირველი ლოკაცია დაბა კულაშში გახლდათ. შეკრებილთ მუნიციპალიტეტის მერი მოკლედ ესაუბრა ხელისუფლების მიერ უკვე შესრულებული სამუშაოების შესახებ და უშუალო გულახდილი საუბრისათვის შეამზადა მოსახლეობა, რომელთა ერთმა ნაწილმა პრეტენზია საყოველთაო უმუშევრობაზე დააფიქსირა. აშკარა იყო რომ თანამედროვე კომუნიკაციების მიუხედავად, რამდენიმეს არაფერი სმენოდა მთავრობის იმ ინიციატივაზე, რომლებიც გარკვეული კატეგორიის ბენეფიციართათვის წამლების ერთ ლარად შესყიდვას უკავშირდება.

დაბა კულაშის მკურნალის სახელობის საჯარო სკოლის დირექტორმა ნუგზარ კვანტალიანმა მუნიციპალიტეტის თავკაცს, სამტრედიელთა მაჟორიტარს, გრიგოლ მიქელაძეს, მადლობა გადაუხადა 1895 წელს აგებული სკოლის შენობის სრული რეაბილიტაციისათვის. შემდეგ ორაგვითი სამუშაოები მალე დაიწყება და დანაპირებს ბოლომდე მივიყვანთო დაჰპირდა მერი. დაბის ხელმძღვანელობამ გვიმეგზურა და წარმომადგენლობის შენობის პირველ სართულზე საექიმო ამბულატორიისათვის განკუთვნილი ფართი გვიჩვენა, სადაც გადმოსვლაზე, თურმე, რატომღაც, თავს იკავებენ ამბულატორიის თანამშრომლები. კულაშში თამარ მეფის ქუჩაზე არსებული მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების რეაბილიტაციისა და ახალგაზრდობის დასაქმებაზე გაამახვილა ყურადღება შეხვედრის მონაწილე ქალბატონმა, იყო მოთხოვნა საკანალიზაციო სისტემის გამართული მუშაობის აუცილებლობაზე. იგეგმება გერმანული კომპანიის შემოსვლა, რომელიც მრავალათასიან სამუშაოს შეასრულებს და საკანალიზაციო სისტემა არა თუ დაბაში მუნიციპალიტეტში მოწესრიგდებაო. _ დაჰპირდნენ დაბელებს.

სოფელ ეწერში ვარი

აქაც თანასოფლელები გახლავან შეკრებილები. პარლამენტის წევრი გიორგი კახიანი, მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია თბილად მიესალმენ მშობლიური სოფლის წარმომადგენლებს და მათგანაც პრობლემები მოისმინეს. ჯიქთუბანში კარგი იქნება, ნაგვის ურნებს თუ დაგვიდგამთო. _ ითხოვა ერთმა. სოფლის კულტურული მომსახურების მიზნით ყოფილი მეურნეობის ადმინისტრაციული შენობის (ნაწილის მაინც) რეაბილიტაციაზე გაამახვილა ყურადღება მეორემ, გაკეთებულ-მოგვარებულისათვის კი არც ეწრელებს დავიწყნიათ სამადლობელი ხელისუფლების მისამართით.

"მახსოვს, სოფლის ცენტრამდე მისასვლელი გზა ისეთ მდგომარეობაში იყო, აქამდე მოსვლას ძლივსღა ახერხებდით, ახლა კი მსიამოვნებს, რომ უკვე ჯიქთუბანშიც ითხოვთ ურნების დადგმას." _ უთხრა შეკრებილთ პარლამენტარმა გიორგი კახიანმა. მუნიციპალიტეტის მერმა არც ამჯერად გასცა ფუჭი დაპირებები და როგორც დაბა კულაშში, ისე ეწერშიც მოსახლეობას თანადგომა და დახმარება შეჰპირდა, რა თქმა უნდა, შესაძლებლობის ფარგლებში.

სოფელი ბაში

შუადღემ მოატანა ბაშში რომ ჩავედით. შემოდგომის მზე საამოდ "იბინება". იგივე მისია, იგივე საუბარი. აქ ოფიციალურ პირებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია, თავმჯდომარის მოადგილე კობა ძიძიგური და საკრებულოში უმრავლესობის ლიდერი ტარიელ დვალიშვილი შემოუერთდნენ. "მოსახლეობასთან შეხვედრები ემსახურება იმ მიზანს, რომ ბიუჯეტირებისას გათვალისწინებული იქნას ხალხის მოთხოვნები, პრობლემები მათ რომ აწუხებთ და შეძლებისდაგვარად გადავეჭრათ ისინი". _ განუცხადა მედიას საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურიამ.

სტუმართა წინაშე ბატონმა რომან ნუცუბიძემ, ვინ იცის, მერამდენედ დააყენა იმ წლების მანძილზე გადაუჭრელი პრობლებლემის აუცილებლად მოგვარების საკითხი, ბაშის ჰესის მშენებლობამ რომ გამოიწვია და დაზარალა მოსახლეობა. წერილიც წაიკითხა ხელისუფლების მისამართით გაგზავნილი. საუბარი ყველა სოფელში მშვიდად, გულახდილად მიმდინარეობდა, თუმცა გამონაკლისი ბაშში მოხდა, ადამიანთა უფლებებთან გათანაბრებული მდგომარეობით ისარგებლეს ჩვენმა ოთხფეხა მეგობრებმა და ისე სამკვდრო-სასიცოცხლოდ წაეკიდნენ ერთმანეთს, რომ შეხვედრის მონაწილეთა ჩარევა გახდა საჭირო.

ძველი უსახური შენობებისაგან სოფლის გათავისუფლება, საბრძოლო დიდების მუზეუმის ბედით ხელისუფალთა დაინტერესება, რიგი საკითხებისა დაისვა სტუმართა წინაშე. რაც შეეხება მუზეუმს, ბაშში რომ ერთ დროს ფუნქციონირებდა, ღვაწლმოსილი პიროვნება ლინეტა თვალავაძე დაინტერესდა და მუნიციპალიტეტის მერს მადლობა სოფელში აღდგენილი ბიბლიოთეკისათვის გადაუხადა.

წარმოუდგენია ვინმეს სამაჩაბლოსა და აფხაზეთის გარეშე ნატოში შესვლა? ეს კითხვაც გაუჩნდა უშუალოდ პარლამენტარის გიორგი კახიანის მიმართ შეხვედრის მონაწილეს. არ მგონია, საქართველოში მოიძებნოს ადამიანი, ვინც არ აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, არ ესწრაფვის ნატოში ინტეგრაციას, რა თქმა უნდა, სამაჩაბლოსა და აფხაზეთთან ერთად. ასეთი იყო გიორგი კახიანის პასუხი.

საოცრად დატვირთული დღე სამუშაო საათების დასრულების შესახებ, კონსტიტუციური ნორმების დაცვით საათების დასრულების დასრულდა.

უდავოდ მისასალმებელია, რომ ხელისუფლება უსმენს ხალხს და იმდენს ჰპირდება, რისი გაკეთებაც შეუძლიათ, თან არავის არაფერს ამადლიან.

საოცარია და უნდა ითქვას, არც დაბა კულაშში, არც ეწერსა და არც ბაშში სოფლის ახალგაზრდობას არანაირი პრობლემა არ დაუყენებია. სამივეგან შეხვედრა ღია ცის ქვეშ ჩატარდა და საშუალება გვქონდა, შემოგარენი, ასე თუ ისე დაგვეთვალიერებინა. ვერსად ახალდარგული ერთი ნერგიც კი ვერ დავინახეთ. არ დავკონკრეტდები, ბევრ ადგილას თუნდაც ამ დღისათვის მაინც, შეიძლებოდა, უკეთეს მდგომარეობაში დაეხვედრებიათ მასპინძლებს შეხვედრის ტერიტორიების შემოგარენი მაინც. არ იქნება ურიგო სოფლებს პატრიოტული ჟინით ანთებული ახალგაზრდები თუ "მოედებიან" და მშობლიური სოფლების სისუფთავეზე უფრო მეტად იზრუნებენ. ასეთი იყო 21 ოქტომბრის შეხვედრა მოსახლეობასთან.

პროექტი "ლია შეხვედრები" გორის ოკაესიებს ირჩევს

ქეთევან ჭელიძე

რა გამოწვევების წინაშე დგას ქვეყანა და, თუნდაც, ჩვენი მუნიციპალილტეტი, ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებაშიც კარგად იციან. "მაინც აუცილებელია თქვენთან შეხვედრა, რადგან თქვენგან მოვისმინოთ თქვენი პრობლემების შესახებ". _ ესაა ფრაზა, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერი პროექტის ფარგლებში მიმდინარე შეხვედრების დროს აჟღერებს.

ხშირად გვესმის ასეთი პრეტენზია და წინასაარჩევნოს ახლაც ნუ დაარქმევთო. _ ესეც გაიმეორა ვალერიანე ფოცხვერიამ კონსტიტუციის, კოსტავასა და თევზაძის ქუჩის მცხოვრებლებთან შეხვედრისას. ასეა თუ ისე, სათქმელი და სათხოვარი დაუგროვდა ხალხს და ვინც სახლში დარჩა და ქვეყნიდან არ წასულა, გარეთ გამოვიდა.

საყვედურები და შენიშვნები მე მითხარით, სტუმრები დაინდეთო. _ ხუმრობაც გაურია სათქმელს მუნიციპალიტეტის მერმა. სტუმართა შორის კი პარლამენტარი, სამტრედიელი ილია წულაია, იმერეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ბესიკ გოფოძე, პარტია "ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველოს" წარმომადგენელი გრიგოლ დალაქიშვილი იმყოფებოდნენ. მერს, სხვა ოფიციალურ პირებთან ერთად, თან ახლდნენ მოადგილე დავით ბახტაძე, საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია და მისი მოადგილე კობა ძიძიგური.

ვიდრე მოსახლეობასთან დიალოგში ჩაებმებოდნენ, ვალერიანე ფოცხვერიამ ე. წ. ხდკ-ს უბანში საკმაოდ ვრცლად მიმოიხილა არსებული სიტუაცია, ხაზი გაუსვა, რომ ქვეყნის მთავარი პრობლემა უმუშევრობაა, მან "ნაციონალების" და "ქართული ოცნების" ხელისუფლების განსხვავებაზეც მიუთითა. ინფრასტრუქტურული კუთხით ბევრი რომ გაკეთდა, ესეც აღნიშნა. დასძინა: "გვსაყვედურობენ, პიარი არ გივარგათო. რა თქმა უნდა, ვერ ვიტრაბახებთ, ასფალტი დაიგო და ზოგჯერ ხარვეზითაც. არც ის არის სატრაბახო შენობები რომ გადავხურეთ. ეს ჩვენი ვალდებულებაა, იმის მაქსიმუმი კეთდება, რისი შესაძლებლობაც არსებობს". ჯანდაცვის პროექტის სიკეთეზეც ისაუბრა, ხარვეზებსა და მისი გამოსწორების მიმართულებით დაწყებულ სამუშაოებზეც. მუნიციპალიტეტში არც ერთი საბავშვო ბაღი ევროპულ სტანდარტებს რომ არ შეესაბამება, არც ეს დაუმალავს. ამასაც მოევლებაო. _ დასძინა. განმარტა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები ოჯახების გადარჩენის ერთ-ერთ საშუალებად რომ იქცა, რადგან იქ პატარები უფასოდ იკვებებიან, ისიც მიუთითა, სკოლებში ბავშვებს დიდ მანძილზე ფეხით სიარული რომ აღარ უწევთ და ავტობუსები ემსახურებათ. კიდევ ბევრ რამეზე ისაუბრა მუნიციპალიტეტის მერმა.

"ამას იმიტომ გეუბნებით, ხანდახან შეხსენებაც არის საჭირო, თორემ არავის არაფერს ვაყვედრით. გაცილებით მეტი უნდა გაკეთდეს. ამ ქვეყანაში არის პრობლემები, მაგრამ ხელისუფლება და საზოგადოება ერთად თუ არ იქნა, მარტო ვერ მოვერევით". _ მიმართა მან შეკრებილებს. ისიც აღუთქვა, რომ "არავინ არავის ემუქრება, არიქა და, 41 შემოხაზეთო. ხალხი ჭკვიანია და ყველაფერს გაიაზრებს. ვინც გინდათ, ის შემოხაზეთ, როცა ამის დრო მოვა."

არა მარტო ხელისუფლების, მოქალაქეთა ვალდებულებებიც შეახსენა შეკრებილებს ვალერიანე ფოცხვერიამ და განმარტა: "ხშირად გვეუბნებიან, რამდენ ხანს უნდა იყოთ ხელისუფლებაში. ღმერთმა ნუ ქნას, მე ვიყო დიდხანს. მოვა დრო და წავალ. მაგრამ ჩვენ რომ წავალთ, უკეთესებს უნდა დავუმოთ ადგილი და არა ის, რომ ჩვენზე უარესები დაბრუნდნენ ხელისუფლებაში."

პარლამენტარმა ილია წულაიამ თავის სამტრედიელობას გაუსვა ხაზი. მთელი საქართველო მიყვარს, მაგრამ სამტრედია განსაკუთრებითო, აღნიშნა. ასეთი შეხვედრები მოქალაქეთა პრობლემების უკეთ გაცნობის მიზნით ახსნა, რა საკითხებია, რისი გადაწყვეტა შეი-

გლეხისთვის არაფერი შეცვლილა არც ამ და არც იმ ხელისუფლებაში

თეა ბაბუნაშვილი

არ არის გამორიცხული, მალე ტრადიციად იქცეს შეხვედრები ღია ფორმატში, რაც მოსახლეობასთან ხელისუფლების უშუალო საუბარში გამოიხატება. თვლიან, რომ ასე უკეთ ჩანს რაში მდგომარეობს პრობლემა, რომელიც უნდა მოგვარდეს. სხვაა კაბინეტიდან დანახულიო, აცხადებენ. არც ფიცი გვიკვირს, მაგრამ უფრო სასურველი ბოლოთი გაუკვირვებლობა რომ არის, ერიც ადასტურებს და ბერიც, მოსახლეობას სულ არ აინტერესებს, პრობლემა სოფელ-სოფელ სიარულით მოგვარდება თუ კაბინეტ-კაბინეტ ჯდომით, მთავარია, თუ ერთხელ არა, ორჯერ თქმით მაინც აღმოიფხვრას იგი. როგორც დანარჩენ საქართველოში, სამტრედიაშიც ეტაპობრივად მთელი მუნიციპალიტეტი ფეხით შემოიარეს იმერეთის მხარეში სახელმწიფოს რწმუნებულმა და მისმა მოადგილეებმა პარტიულ პასუხისმგებელ პირებთან ერთად. პროექტ "ღია შეხვედრების" ფარგლებში მათი ვიზიტები გაღმა ზონის მაღალმთიანი სოფლების, გამორჩინებული, ოფეთის, ზედა გომის და საჯავახოს მონახულებით დასრულდა.

ყანებში გასულები რამდენიმე საათით მაინც მოსწყდნენ საქმეს, რათა იმ დღეს მათთან ჩასული იმერეთის რწმუნებულის მოადგილე ბესიკ გოფოძისთვის, მმართველი პარტიის წარმომადგენლის, გრიგოლ დალაქიშვილისთვის და სხვა პასუხისმგებელი პირებისთვის, ის საკითხები გაეცნოთ, სოფლისთვის რომ არის საჭირო. სტუმრებს მეგზურობას მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია უწევდა. გომის თემში მათ მაჟორიტარი დეპუტატი პარლამენტში გრიგოლ მიქელაძეც შეუერთდა.

საუბარი კი თითქმის ყველა სოფელში იდენტური იყო, გზა, წყალი, დასაქმება, დაბალი ხელფასი და პენსია, საარსებო მინიმუმი, საცხოვრებელი პირობები და დაცლილი სოფლები. ერთ ნათქვამ საყვედურს, რომელსაც მაშინვე ჩურჩული მოჰყვებოდა, "აგი ნაციონალია", ათასი მადლობა ამყარებდა, სავარაუდოდ, "არანაციონალისგან". ამ ფრაზასაც "გაცხრილვა" რომ მოუწევს, ჯერ ისევ წერის დროს ვიცოდით, მაგრამ მაინც ასე!

ერთი სიტყვით, მოსახლეობა საკუთარ საჭიროებებს ხელისუფლების მაღალჩინოსნებს პირადად აცნობდა. ვერც მათ დავწამებთ, შესაძლებლობის ფარგლებში ყველა მათგანის მოგვარების სურვილი რომ არ ჰქონოდათ, პირიქით, მაგრამ მაინც, სურვილად დარჩენილი სურვილები და დაპირებები რამდენჯერმე შეახსენეს მათ საშემოდგომო საქმეს დროებით მოცდენილებმა.

"სისტროგე" და "პალაჟენიის მოყვანა" _ არც ამგვარი ჟარგონები აკლდა იმდღევანდელ შეხვედრებს, მაგრამ ეს არაფერი, უფრო საინტერესო ის გახლდათ, რა მოსთხოვეს და რას დაჰპირდა საქმისთვის მოსული ხელისუფლება მოსახლეობას ღია შეხვედრებისას.

"გლეხისთვის არაფერი შეცვლილა არც ამ და არც იმ ხელისუფლებაში, ეს მართალია და ნაწილობრივ, ვიცით, ჩვენი ბრალიცაა! მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, არც ისე ხელწამოსაკრავები ვართ. იმდენი საქმე, იმდენი ინფრასტრუქტურული პროექტი, ჩვენ რომ ვაკეთებთ, კომუნისტების შემდეგ არ გაკეთებულა ქვეყანაში. სამართლიანად გვსაყვედურობენ, პიარი არ გივარგათო, დიახ, ჩვენ არ გვიყვარს ჩვენი საქმეების აფიშირება და თურმე ეს საჭიროა. მართალია, დაპირებები იყო, ცოტა გადავაჭარბეთ კიდეც თავის დროზე, როცა იმდენს დაგპირდით, რისი ბოლომდე მიყვანაც ამ დრომდე ვერ მოვახერხეთ. უნდა ხაზი გავუსვა, რომ ნაწილი შესრულებულია და საკუთარი თვალით დაინახავთ, რომ ნელ-ნელა ყველაფერი მოგვარდება. მაგრამ ამ ყველაფერს დამნახავი უნდა, ვისაც ამის სურვილი არ აქვს, ის ვერასდროს ვერ დაინახავს, რამდენი სასიკეთო რამ კეთდება ქვეყანაში." _ აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიანე ფოცხვერიამ, და იქვე განაცხადა ის, რაშიც მას იმ დროისთვის იქ მყოფი მოსახლეობაც დაეთანხმა და კიდევ ბევრი დაეთანხმებოდა, ვინც იქ არ იყო, რადგან ვალერიანე ფოცხვერია არ ტყუოდა, როცა ამბობდა: "გავხარმაცდით და ყველას დაგვავიწყდა შრომა! თურქეთში თხილის საკრეფად წასვლა გვირჩევნია საკუთარ მიწაზე მუშაობას. მთავრობის გინება გვგონია გამოსავალი და თავად არაფრის გაკეთება, ხელის განძრევა არ გვინდა. მენტალობაც შეგვეცვალა, აქ ასაკოვანი ხალხი ხართ და თქვენი აშენებულია ეს სოფლები. დღეს მეზობელი მეზობელს რომ მიეხმაროს, ფული უნდა გადაუხადოს! არ გამოვა, არ გამოგვივა ასე!"

მის ამ პათოსს ეთანხმებოდა მაჟორიტარი გია მიქელაძეც: "ხელისუფლებამ უნდა გაისიგრძეგანოს მისი მოვალეობა და ყველაფერი უნდა გააკეთოს, მოსახლეობის კეთილდღეობისთვის, მაგრამ ადამიანებს არ უნდა დაავიწყდეთ, რომ უპირველესად მათი და მათი ოჯახების მშველელი საკუთარი თავი და შრომაა, რომელიც უმრავლესობას უბრალოდ, ეზარება. გარდა ამისა, საქართველოს ირგვლივ, მეზობელ ქვეყნებში დაიძაბა პოლიტიკურ-ეკონომიკური სიტუაციები. რაღაც ჯადოსნურად, მთელი მსოფლიო კრიზისშია, მარტო ჩვენთან არ არის ასეთი მდგომარეობა და ესეც გასათვალისწინებელია. გასაგებია, რომ მოსახლეობას არც ის აინტერესებს უკვე, რა იყო წარსულში და რა უნდა იყოს ხვალ."

როგორც აღინიშნა, ამ ეტაპზე, შეხვედრები, რომელთა მიმდინარეობისას დასმულ პრობლემებს აუცილებლად გაითვალისწინებენ და დაუყოვნებლივ მოსაგვარებელ საკითხთა ნუსხაში ჩასვამენ, დასრულდა და გაზაფხულზე კვლავ განახლდება ახალი საკითხების გასაცნობად.

და ბოლოს, როგორც ვალერიანე ფოცხვერიამ არაერთხელ აღნიშნა, ეს არც შეხვედრა შეხვედრისთვის გახლდათ და არც მოახლოებული საარჩევნო წლის "დასაზღვევად" ხალხთან საუბარი.

ძლება ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე, როგორ გახდეს მომავალი წლის ბიუჯეტი უკეთესი მოსახლეობის საჭიროებებიდან გამომდინარე. აგრეთვე, როგორ მუშაობს ადგილობრივი ხელისუფლება, რომ მისი გაკონტროლებაც არის ერთ-ერთი საკითხი.

როცა ამა თუ იმ პრობლემის მოგვარების გამო მუნიციპალიტეტის მერს მადლობას უხდიდა მოსახლეობა, ვალერიანე ფოცხვერია შორს იჭერდა და მადლობაზე უარს ამბობდა.

გასაკეთებელიც და მოთხოვნებიც ყველგან ტყუპისცალივით ჰგავს ერთმანეთს. ბავშვები რომ არ დაზიანდნენ, ქალაქის №11 საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის წინ არსებული ავარიული შენობისაგან ტერიტორიის განთავისუფლება მოითხოვეს, სასმელი წყლის ნაკლებობაზეც გაამახვილეს ყურადღება. ილორთან დამაკავშირებელი გზის შეკეთებაც ითხოვეს. ქუჩას მეტად განათება და ადგილობრივებს სტადიონი რომ სჭირდებათ, იმ დღესაც შეახსენეს ხელისუფლებას, ასევე, ეზოების კეთილმოწყობა და ბავშვებისთვის სკვერის კეთილმოწყობა. მერმა პირობა მისცა მოსახლეობას, რომ ყველაფერს ეტაპობრივად შეასრულებდნენ. ახალგაზრდებს კი აღუთქვა, რომ იმ ახალ სტადიონზე მათთან ერთად ბურთს პირველი ის გააგორებდა.

პრეტენზიები მოსახლეობას "სოკართანაც" აქვს. კერძო კომპანია თავისი რეგულაციებით მოქმედებს, მაგრამ შევეცდები მოლაპარაკებას, მიიღეს ვალერიანე ფოცხვერიასგან დაპირება.

საკანალიზაციო სისტემების მწყობრიდან გამოსვლა ერთნაირად აწუხებთ როგორც კოსტავასა და კონსტიტუციის, ასევე თევზაძის ქუჩის მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების მობინადრეებს. საძირკველში ჩაღვრილი წყალი, ფეკალური მასა და აქედან გამომდინარე ზაფხულში მომრავლებული კოღოები არანაკლები პრობლემაა თევზაძის ქუჩის მცხოვრებლებისთვის. ერთ-ერთ სადარბაზოში გველიც კი ამოვიდაო, აღნიშნეს. ოცდაოთხსაათიანი სასმელი წყლით მომარაგება აქაურებისთვისაც გადაუჭრელი საკითხია.

ქუჩის მცხოვრებლებმა შუამდგომლობა სთხოვეს მუნიციპალიტეტის მერს, დილის საათებში გადატვირთული მოძრაობის გამო, სატრანსპორტო საშუალების დამატებასთან დაკავშირებით, რათა მოსწავლეებმა დროულად შესძლონ სკოლებში მისვლა, ხოლო, სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის უფასო მგზავრობის შესაძლებლობა შექმნან. დაწყებული სტადიონის დასრულებაც ითხოვეს და ქუჩაში მომრავლებული ძაღლების პრობლემებზეც გაამახვილეს ხელისუფლების ყურადღება.

მოსახლეობამ ბევრ კითხვაზე მიიღო პასუხი და დაპირებაც.

"არიქა ვიღუპებით, დაიქცა ეს ქვეყანაო, როგორც ამას თითქმის ყველა სატელევიზიო არხიდან ვისმენთ, არ არის ასე." _ განაცხადა ვალერიანე ფოცხვერიამ. _ "ის, რომ აყვავებულ ქვეყანაში ვცხოვრობთ და აუცილებელად ჩვენი ქება-დიდება უნდა თქვათ, ტყუილია, მაგრამ მცდელობა, ეს ქვეყანა განვითარდეს, ცენტრალური ხელისუფლების და ჩვენი მცდელობაცაა. ბევრი რამ კარგიც კეთდება."

სამრეკლოზე ჯვარი აღიმართა

ნინო ნანიტაშვილი

წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის სამტრედიის საკათედრო ტაძრის სამრეკლოს გუმბათზე ჯვარი აღიმართა. რომელიც ეკლესიას საპატრიარქოს ჩოხოსანთა ორგანიზაციის სამტრედიის სადროშოს წევრმა, გიგა გელოვანმა შემოსწირა.

საკათედრო ტაძარი სამტრედიაში 2011 წლიდან ფუნქციონირებს. 1990 წელს ეკლესიის მშენებლობის ადგილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ აკურთხა.

1991 წელს დაიწყო ტაძრის მშენებლობა, რომელიც 1992 წელს შეწყდა და 1999 წელს განახლდა.

"ამჟამად საკათედრო ტაძრის კომპლექსის დასრულების ერთ-ერთი უმთავრესი სამუშაოები მიმდინარეობს.

სამრეკლო თავისთავად კომპლექსია, რადგან აქ მხოლოდ ზარები არ დაირეკება. აქ იქნება ეკლესია ივერიის ღვთისმშობლისა და რადგან კარიბჭესთან არის, კარიბჭის ეკლესია დაარქვა მეუფე საბამ. აქვე განახლდება საეკლესიო მაღაზია, სადაც ყველაფერი იქნება მრევლისთვის. არა მარტო მრევლისთვის, სასულიერო პირებისთვისაც კი". _ უთხრა "სამტრედიის მაცნეს" ჯონი ნადირაძემ.

21 ოქტომბერს სამრეკლოზე აღიმართა ჯვარი, რომელიც შესრულებულია არქიტექტორ რევაზ ჯანაშიას პროექტით, მისი ესკიზებით არის გაკეთებული სამრეკლოც და საკათედრო ტაძარიც მისივე პროექტია.

საკათედრო ტაძრის სამრეკლოს მშენებლობა 4 წლის წინ დაიწყო. მშენებლობის ვარაუდით, სამრეკლო 2019 წლის დეკემბერში დასრულებული იქნება.

"ძალიან მიხარია, რომ ჩემმა მეგობარმა, გიგა გელოვანმა ტაძარს შემოსწირა ჯვარი. მან თავის თავზე აიღო სამრეკლოს ჯვრის სამუშაოების დაფინანსება და ასეთი შესანიშნავი საჩუქარი გაუკეთა ჩვენს საკათედრო ტაძარს. ბატონმა გიგა გელოვანმა გააკეთა მეტად საშური საქმე და არა მარტო ეს, მან კიდევ დაამზადებინა ჯვარი სხვა ტაძრისთვის, ზარები შეიძინა და გადასცა ეკლესიას, რომლებიც მალე მოუხმობენ სამტრედიელებს საკათედრო ტაძარში სალოცავად". _ დასძინა ჯონი ნადირაძემ.



მეოხ გვეყავ, წმინდანო!
ღირსი მამა გაბრიელ სალოსი და აღმსარებელი

"ჰოი, სამგზის სანატრელო მამაო გაბრიელ, მიითუალე ქებისმეტყველება ესე უღირსთა მონათა შენთაგან და შემავედრენ ჩუენ შენ მიერ ქადაგებულსა სამებასა, რაითა შენ თანა უგალობდეთ: ალელუა(ი).

(კონდაკი იბ)

განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს მართლმადიდებელ ქრისტიანთა შორის ღირსი მამა გაბრიელ სალოსი და აღმსარებელი. მისი ცხოვრება ტანჯვა, ჭიდილი და ბრძოლა იყო უმეცრებთან და უმეცრობასთან, ცრუ იდეოლოგიასთან, კერპებთან და კერპთაყვანისმცემლებთან.

მარადის დევნა, დაცინვა, პატიმრობაც კი... რა არ გამოსცადა, თუმცა მაინც აღსრულდა ნება ღვთისა და ქრისტეს გზით მავალი თხემით ტერფამდე ქრისტიანი საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდა სინოდმა წმინდანად შერაცხა.

"მრავალფერსა განსაცდელსა შეჰვარდი პირად პირადსა, სანატრელო გაბრიელ, და გამოცდილებამან მან სარწმუნოებისა შენისაგან ქმნა მოთმინებაი, ხოლო გონიერებასა მას აქუნდა საქმეი სრული, რომლისა მიერ იქმნენ სრულ და ყოვლად ცოცხალ და არარაით ნაკლულევან და განმდიდრდი ღმრთისა მიერ მადლითა: ალელუა(ი)"

(კონდაკი (იბ)

წმინდათა დასში დავანებული მამა გაბრიელი დღესაც მის სათაყვანებელ საქართველოსა და ქართველებს ავედრებს უფალს და გვიცავს განსაცდელთაგან.

გაბრიელ ბერს, სალოსსა და აღმსარებელს იხსენებს 2 ნოემბერს ეკლესია.

ლევან გაბიჩავა

და აჩს ტაძაჩი შუენიეჩ...

მოვსულვარ შენი აღსავლის კართან და შიგ შემოსვლას ვერ ვბედავ კრძალვით

დიდი ხანი შენდებოდა. ლამის იმედიც გაგვიქრა, აშენდებოდა თუ არა. 1990 წლის ცხელი ზაფხულის ერთ დღეს, საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრის, ილია მეორის მიერ ნაკურთხ ადგილზე დიდხანს იყო ეულად მიწიდან ოდნავ ამოზრდილი საძირკველი.

მერე ღვთის ნებით, ღვთისნიერთა ძალისხმევით, საშვილიშვილო საქმე სისრულეში მოვიდა.

2011 წლის 3 ნოემბერს, უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ საზეიმოდ აკურთხა წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძარი, რომელიც შესანიშნავი არქიტექტურული ძეგლია.

გულს სიამოვნებს, თვალს ახარებს ტაძრის მიმდებარედ მიმდინარე სამუშაოები, შორს არაა დრო, როცა ყველაფერი დასრულდება და საკათედრო ტაძრის სრული კომპლექსი მრევლის, საზოგადოების, ახალგაზრდობის სულიერ-ინტელექტუალური აღზრდის სამსახურში ჩადგება, ქალაქს კი კიდევ ერთი მშვენიერი ნაგებობა შეემატება.

აისიდან დაისამდე მრევლს უხმობს ტაძრის ზარი და მორწმუნენიც იჩქარიან უფლის სახლისაკენ.

თითოეული სამტრედიელის სიამაყეა ცადაზიდული ქათქათა ყელმოღერებული ტაძარი.

ღირსახსოვარი თარიღია 3 ნოემბერი სამტრედიელთათვის.

ლევან გაბიჩავა

გენდერულმა საბჭომ სხდომა გამართა

განსხვავებული ფორმატი, საქმისადმი სერიოზული, გულიანი დამოკიდებულება.

25 ოქტომბერს მორიგი სხდომა გამართა საკრებულოსთან არსებულმა გენდერულმა საბჭომ, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე, გენდერული საბჭოს ხელმძღვანელი ნუგზარ ჯამბურია უძღვებოდა. შეხვედრას საბჭოს წევრების გარდა ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი დავით ბახტაძე, მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ნატალია მანჯგალაძე და მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარე შეკრებილთ მიესალმა და სიტყვა გენდერულ საკითხებში მის მრჩეველს, ქალბატონ თამილა კეკელიძეს, გადასცა. ამჯერზე საბჭოს სხდომაზე იმ სამტრედიელთა გვარ-სახელები გააჟღერეს, სამტრედიაში რომ დაიბადნენ და წლების მანძილზე მშობლიური რაიონის, ქვეყნის კეთილდღეობისათვის იღვწოდნენ. სხდომა რომ გულახდილ, საქმიან ვითარებაში ჩატარდა, ის გარემოებაც მეტყველებს, რომ დამსწრეთ საშუალება მოგვეცა, საკუთარი მოსაზრებები გამოგვეთქვა და ჩვენეული ხედვაც დაგვეფიქსირებია წარმოდგენილი პიროვნებების ირგვლივ.

უახლოეს ხანში გენდერული საბჭო გეგმავს საზოგადოებას ფართოდ გააცნოს ამ ღვაწლმოსილი სამტრედიელი ქალბატონების გვარ-სახელები და ნაღვაწი, მოაწყონ მათი ფოტოების გამოფენა და ა.შ. რომელთა შესახებ ინფორმაციები ამჯერად იქნა მოპოვებული. ყველაფერს კი საბოლოოდ ფინანსები სჭირდება. სწორედ ამ საკითხზე ისაუბრეს საბჭოს სხდომაზე მერის მოადგილემ, ბატონმა დავით ბახტაძემ და საბჭოს წევრებმა.

დაბოლოს, უნდა ითქვას, რომ ეს შეხვედრა მხოლოდ იმიტომ ღირდა, რომ ბევრი ღირსეული სამტრედიელი ქალბატონი გავიხსენეთ, ვისაუბრეთ მათ განუზომელ ღვაწლზე, რაც თავისთავად მათი მოგონების საღამოდ გადაიქცა.

ცნობისათვის: ამჯერად მხოლოდ გარდაცვლილი ქალბატონების ბიოგრაფიები იქნა განხილული.

კონკრეტული დავალებები მიეცა საბჭოს წევრებს ბატონ ნუგზარ ჯამბურიასაგან.

ლევან გაბიჩავა



რიგგარეშე სხდომა სრული კონსენსუსით

ლევან გაბეჩავა

"კოლეგებო, სტუმრებო, მინდა გითხრათ, რომ ამ საკითხზე საუბარი ჯერ კიდევ 10 წლის წინ დაიწყო. მოხარული ვარ, რომ საქმე ადგილიდან დაიძრა და ჩვენ ისტორიულ გადაწყვეტილებას ვიღებთ". _ ეს განცხადება მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ნუგზარ ჯამბურიამ 22 ოქტომბერს გამართულ საკრებულოს სხდომაზე მაშინ გააკეთა, როდესაც სოფელ ოფეთში მდებარე 3285.00 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობისათვის, ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობის სტატუსის მოხსნის და აღნიშნულ ქონებაზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის გაუქმების შესახებ იმსჯელა.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" შესაბამისი მუხლისა და საქართველოს პარლამენტის 2002 წლის 14 ოქტომბრის შესაბამისი დადგენილებით დამტკიცებული "საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, განიხილა სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ოფეთში მდებარე 3285.00 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობისათვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრების რეგისტრაციის გაუქმების საკითხი და

გადაწყვიტა:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ოფეთში მდებარე 3285.00 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთსა და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობას (№1 განაშენიანების ფართი 286.7 კვ.მ და №2 განაშენიანების ფართი 59.4 კვ.მ), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.15.41.001, მოეხსნას ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობის სტატუსი.

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ოფეთში მდებარე 3285.00 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობაზე (№1 განაშენიანების ფართი 286/7 კვ.მ და №2 განაშენიანების ფართი 59.4 კვ.მ), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 34.15.41.001, გაუქმდეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაცია. ე. ი. ხსენებული მიწის ფართი და ნაგებობა ადრინდელ მფლობელს, საქართველოს ეკლესიას გადაეცა, ასე რომ, აქ ისევ ღვთის სახლი იქნება, როგორც წინათ. აი, ამიტომ გახლდათ ეს საკითხი ისტორიული მნიშვნელობის.

საკრებულომ განიხილა რიგი სხვა საკითხები, რომელთა შესახებაც მომხსენებელი ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ბატონი მერაბ უორელიძე გახლდათ და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები.

ნინო ნანიტაშვილი

30 ოქტომბერს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიანე ფოცხვერიამ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული პროექტების განმხორციელებელი სამშენებლო ორგანიზაციების, მონიტორინგის ჯგუფისა და საპროექტო ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან აუდიენცია გამართა. შეხვედრა შეეხებოდა რაიონში სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობას, არსებულ მდგომარეობასა და პრობლემებს.

შეხვედრას ესწრებოდნენ: მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი ზურაბ გოგია, მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის და სამშენებლო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი ოთარ თევზაძე, მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლები სოფლებში და მერიისა და საკრებულოს სხვა პასუხისმგებელი პირები. შეხვედრაზე მოწვეულნი იყვნენ ტენდერში გამარჯვებული სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მშენებლობის ზედამხედველები და საპროექტო სამსახურის წარმომადგენლები.

ტრადიციისამებრ შეხვედრა გახსნა მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიანე ფოცხვერიამ. მან საუბარი პრობლემატური უბნებით დაიწყო და პირველ რიგში ყურადღება გაამახვილა თამარ მეფის ქუჩაზე არხის გაწმენდასთან დაკავშირებულ სირთულეებზე. აღნიშნა, რომ ის ძალიან უკმაყოფილოა მიმდინარე სამუშაოების ხარისხითა და შესრულების ტემპით. უკვე 2 თვე გავიდა, რაც ქალაქი გადათხრილია რაც მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევს. მართალია, პროექტი თავის დროზე ხარვეზით გაკეთდა, თუმცა ეს ფაქტი არ ამართლებს მშენებლებს, რომ სამუშაო დროულად და ხარისხიანად შეასრულონ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია გააკეთა სამშენებლო ორგანიზაციის წარმომადგენელმა. როგორც მან განაცხადა, დღეის მდგომარეობით მიმდინარეობს ხრეშის ჩაყრა გვერდულებზე. წარმოდგენილია კორექტირებული პროექტი და როცა შუალედურ დაფინანსებას მიიღებენ, მუშაობაც დაჩქარდება.

მეორე პრობლემატურ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება სოფელ ჭოგნარსა და სოფელ გორმაღალში ბეტონის გზის დაგებას, მწვავედ ისაუბრა ვალერიანე ფოცხვერიამ. მან აღნიშნა, რომ უკვე თვე-ნახევარი გავიდა და ამ მიმართულებით ჯერ თითქმის არაფერია გაკეთებული. თუ მდგომარეობა არ გამოსწორდა, მოუწევთ შეწყვიტონ ხელშეკრულება. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით სამშენებლო ორგანიზაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გაგზავნილი აქვთ დოკუმენტაცია შუალედური შესრულების შესახებ და ელოდებიან დაფინანსებას.

შეხვედრაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციები გააკეთეს სოფლებში მერის წარმომადგენლებმა. მათ აღნიშნეს, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები დასრულებულია. ზოგიერთ სოფელს დარჩა მხოლოდ საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენა.

შეხვედრაზე ითქვა, რომ თითქმის ყველა სკოლაში სარემონტო სამუშაოები დასრულდა. მხოლოდ ბაშის საჯარო სკოლას რჩება წყლის ძრავის დაყენება. მე-2 საჯარო სკოლაში გამოსასწორებელია ხარვეზები. ზურაბ გოგიამ გამოჰყო ჭაგნის, მელაურისა და ნოღის საჯარო სკოლები, სადაც კარების ჩამოყიდების სამუშაოებია დარჩენილი.

შეხვედრა შეაჯამა მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიანე ფოცხვერიამ.

ინფრასტრუქტურა და სოციალური პროგრამები ბიუჯეტის პრიორიტეტებია

ნინო ნანიტაშვილი

ადგილობრივი ბიუჯეტის 9 თვის გეგმა 14 448 300 ლარია, ფაქტობრივმა შემოსავალმა კი 13 108 400 ლარი შეადგინა. ამდენად, მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი 90,7 პროცენტით შესრულდა. გეგმის შეუსრულებლობა გამოიწვია სახელმწიფო შემოსავლების სამსახურის მიერ იურიდიული პირების ქონებიდან მიღებული გადასახადის შემცირებამ. არსებულმა იურიდიულმა პირებმა მოახდინეს საგადასახადო დეკლარაციის კორექტირება და შესაბამისად შემცირდა ქონების გადასახადი.

საგადასახადო შემოსავლების გეგმის შეუსრულებლობის მიუხედავად ადგილობრივი შემოსავლები გეგმის გადაჭარბებით, 100,3 პროცენტით შესრულდა.

შემოსავლების პარალელურად მოხდა ხარჯების დაფინანსებაც: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების გეგმა შეადგენდა 2 311 200 ლარს. ფაქტობრივად დაიხარჯა 2 093 800 ლარი. თავდაცვა _ გეგმა 81 200 ლარი _ ხარჯი 71 000 ლარი; ეკონომიკა, გარემოს დაცვა და საფინანსო კომუნალური მომსახურება _ გეგმა 9 453 800 ლარი _ ხარჯი 8 600 800 ლარი; დასვენება, კულტურა, რელიგია _ გეგმა 2 143 300 ლარი, ხარჯი _ 1 943 300 ლარი; განათლება _ 2 720 000 ლარი, ხარჯი _ 2 407 900 ლარი; სოციალური დაცვა _ გეგმა 967 700 ლარი ხარჯი _ 882 000 ლარი.

გამოიკვეთა, რომ შემოსავლების მობილიზება ძირითადად ხდება მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად და სოციალური პროგრამების დაფინანსებისთვის.

მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფინანსდა უფასო გამოკვლევები, მოწვეულმა უმაღლესი დონის 35-მა სამედიცინო პერსონალმა სამტრედიელებს უფასო გამოკვლევა ჩაუტარა.

ადგილობრივ ბიუჯეტში ჩადებულია შიდსისა და C ჰეპატიტის დაავადებებზე აღრიცხვიანობისა და მკურნალობის ხარჯები.

უარი ნარკოტიკს, უარი ნარკომანიას

ლევან გაბეჩავა

სამწუხაროდ და საუბედუროდ, ნარკომანიაზე საზრუნავი ქართველებს დიდი ხანია გაგვიჩნდა. სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ ღონისძიებაზე, რომელზეც 8 ოქტომბერს მოსწავლეთა პარლამენტის წევრებმა მიგვიწვიეს, თავად ახალგაზრდებმა იზრუნეს და საოცარდ საინტერესო დებატებსაც თავად გაუძღვნენ. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია, მუნიციპალიტეტის ვიცე მერი დავით ბახტაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა ძიძიგური, მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი ნატალია მანჯგალაძე, წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის მშენებლობის ხელმძღვანელი ჯონი ნადირაძე, დეკანოზი რომანოზი (ნინუა), გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა, ღონისძიებაზე მოწვეული საჯარო სკოლების პედაგოგები, საოცრად საინტერესო დებატებში მას შემდეგ ჩაერთვნენ, რაც ახალგაზრდებმა თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულება ნარკომანებთან და ნარკომანიასთან დამაჯერებლად დააფიქსირეს და იმსჯელეს, თუ როგორ მოახდინონ, რაღა თქმა უნდა, უმტკივნეულოდ, ამ სენით დაავადებულთა "ჭაობიდან" ამოყვანა და ჯანსაღი ცხოვრების წესში ახალგაზრდობის ჩაბმა.

აუცილებელია ითქვას, რომ განსაკუთრებული გახლდათ მუნიციპალიტეტის ვიცე-მერის, ბატონი დავით ბახტაძის, გამოსვლა, რომელმაც ღონისძიების არა მარტო მონაწილეთა, მთელი ერის სატკივარი გააჟღერა და აღნიშნა:

"ჩემი თაობის ახალგაზრდებმა ცნება ნარკოტიკი და ნარკომანია თითქმის არ იცოდნენ, ახლა კი ამ თემაზე, იძულებული ვართ, არა მარტო უფროსმა თაობამ, ახალგაზრდებმაც ვიზრუნოთ. ამ-ისი საუკეთესო გამოხატულებაა დღევანდელი ღონისძიება. _ აღნიშნა მან.

უნდა ითქვას, რომ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის თანამშრომლებმა (დირექტორი ტატა გოგუაძე), რომლებიც ყველა ღონისძიების ჩატარებას სერიოზულად ეკიდებიან, ამჯერადაც მთელი გული ჩადეს ხსენებულ აქტივობაში, რათა ახალგაზრდა პარლამენტარებისათვის სწორი მიმართულება მიეცათ. არც შედეგმა დააყოვნა.

მიუხედავად იმისა, რომ დებატები 2 საათზე მეტხანს გაგრძელდა, დაღლა არავის ემჩნეოდა. უარი ნარკომანიას, სიყვარული გადაგვარჩენს. ასე დამთავრდა ღონისძიება, რომელსაც განსაკუთრებული პათოსითა და ორატორული ნიჭით უძღვებოდა მკითხველთათვის კარგად ნაცნობი ლაშა ტუღუში.

აქტიურად ერთვებოდა დებატებში პედაგოგი ლუიზა მიქაუტაძე, რაც მთავარია, საკმაოდ მასშტაბურად ჩატარდა ღონისძიება, რამეთუ, მას მუნიციპალიტეტის სხვადასხვა საჯარო სკოლების მოსწავლეები ესწრებოდნენ. თუ არა პროფესიისადმი სიყვარული, რითი უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ როცა დარბაზს ვტოვებდით, სახელდახელოდ დადგმულ მაგიდაზე მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელმძღვანელს, ქალბატონ გულიკო ძნელაძეს მის მიერ მოყვანილი ხორბლის ენდემური ჯიშები გამოეფინა. დიდი საქმეა, ესეც საშვილიშვილო, სამერმისო, გასავრცობი და ფართოდ დასანერგი. დასრულდა ღონისძიება და გონებაში ხმიანობდა აზრი: ის ერი და იმ ერის ახალგაზრდები არასოდეს გადაუხვევენ მართალი გზიდან, რომელთა შვილებსაც შეუძლიათ, ისე იაზროვნონ, როგორც მოსწავლეთა პარლამენტის წევრებმა

ტრადიციად ქცეული საშემოდგომო სტუმრობა

თეა ბაბუნაშვილი

როგორც აქ იციან ხოლმე, შემოდგომაზე შემოუვლიან ეწრის საჯარო სკოლას. ასეა უკვე შვიდი წელია, ამერიკელი სტუმრები, რომლებმაც მეგობრობის პასუხისმგებლობით საკუთარ თავზე ბევრი რამ აიღეს, წელიწადში ერთხელ ყოველთვის სტუმრობენ მას. ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაცია ISGP მეშვიდე წელია ახორციელებს პროექტს, მოსწავლეების სოციალურ და საგანმანათლებლო დაფინანსებას რომ ითვალისწინებს. ამჯერადაც განსაკუთრებულად მოემზადნენ მათთან შესახვედრად. სკოლის კლუბში შეიკრიბნენ და განსაკუთრებული ღონისძიება გამართეს.

პროექტ "ნიჭიერის" იმიტაცია ეწრელმა მოსწავლეებმა საკუთარი სკოლის პატარა სცენაზე გამართეს. სტუმრები ჟიურიში ისხდნენ და თითოეულ ნომერს შესაბამისი ქულით აფასებდნენ. გამარჯვებულებიც გამოავლინეს და საუკეთესო ნომრებიც. როგორც სკოლის დირექტორი მიხეილ კოპალეიშვილი აღნიშნავს, ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაციის დაფინანსებით ორგანიზაცია "თბილისის მოზარდთა სახლი" მათი მეგობარია. საჯარო სკოლებთან ურთიერთობა მათი თვითმიზანი არაა, მაგრამ ეწრის საჯარო სკოლა გამონაკლისია, რადგან ორგანიზაცია მხოლოდ საბავშვო სახლებთან ურთიერთობით იყო დაინტერესებული, მეგობრული ურთიერთობა ეწრის საბავშვო სახლთან ჰქონდა. იქაური აღსაზრდელები სწორედ ამ სკოლაში სწავლობდნენ. თავდაპირველად ამიტომ გაკეთდა არჩევანი ეწრის საჯარო სკოლაზე. ბავშვთა სახლის გაუქმების შემდეგ კი სკოლასთან ურთიერთობები კვლავ გაგრძელდა. ორგანიზაცია ბევრს აკეთებს სკოლისთვის, ზრუნავს კლასკაბინეტების აღჭურვაზე, აფინანსებს მოსწავლეთა კვებას სკოლაში და რაც ყველაზე მთავარია, ამ სკოლის ყველა კურსადამთავრებულს უმაღლეს სასწავლებელში სწავლასაც უფინანსებდნენ, ახლა კი სკოლის წარჩინებულ მოსწავლეებს უფინანსებენ უმაღლეს სასწავლებელში სწავლების კურსს.

მხიარულება ამ ღონისძიების მთავარი ნიშა გახლდათ. ეროვნული ცეკვა-სიმღერა ერთმანეთს ანაცვლებდა სოლის პატარა სცენაზე და გული გწყდებოდა, ეკონომიკურად ძლიერი სახელწიფოდან სტუმრად ჩამოსულები თავიანთ ქვეყანაში რომ იტყვიან პატარა ღარიბი სოფლის სკოლაში გახლდით, სადაც ძალიან უჭირთო, ბევრი რამ აკლიათო. არადა, ჩემი "საქართველო აქ არის", რეკდა ზარივით, სკოლის დაძველებული კლუბის სცენაზე ქართული ცეცხლი ენთო წითელი ჩოხებით, ისეთი, ბევრ უდიდესი კულტურის მქონე ქვეყანას რომ გააკვირვებს და აღაფრთოვანებს პლანეტაზე! არც უცხოურისთვის დაუკლიათ ხელი. ღონისძიება ქართულ და ინგლისურ ენაზე მიმდინარეობდა.

გარდა ამერიკელებისა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც სტუმრობდნენ იმ დღეს ეწრის საჯარო სკოლას. მუნიციპალიტეტის მერი ერთდროულად სტუმარიც გახლდათ და მასპინძელიც, სტუმარი მერის, ხოლო მასპინძელი ამ სკოლის ყოფილი მოსწავლის რანგში.

ხელცარიელები არც ამჯერად მოსულან სტუმრები, გარდა იმისა, რომ ღონისძიება მათ მიერ შესრულებული სიმღერით დასრულდა, მოსწავლეებს ტკბილეული და სხვა საჩუქრები გადასცეს. მომავალ შემოდგომამდე დაეშშვიდობნენ მათ და კვლავ თანამშრომლობის სურვილიც გამოსთქვეს.

სიყვარულით მოსაუბრე საბავშვო ლექსები

თეა ბაბუნაშვილი

სოფოს ბებო სკოლაში მივიდა, იმ სკოლაში, სადაც თავად სწავლობდა ჯერ კიდევ მაშინ, სოფოს კბილა რომ იყო, იმ სკოლაში, რომელსაც მისი ბავშვობა ახსოვს და რომლის ბევრი პედაგოგის თანატოლია. მისმა სტუმრობამ ყველა გააზარა, რადგან იგი სოფოს ბებოს გარდა პოეტი, ბევრი საბავშვო ლექსის ავტორი, მწერალთა კავშირის წევრი და სასიამოვნო ქალბატონი მანანა ტონია გახლავთ.

ღონისძიება მეთორმეტე საჯარო სკოლის მეორეკლასელებმა პედაგოგის, მედეა გეგეშიძის, რჩევითა და მონდომებით გამართეს. ამ გოგო-ბიჭებს პირველ კლასში შესვლისთანავე მეორე დედად სკოლაში სწორედ მედიკო მასწავლებელი ჰყავთ. მათ ძალიან სჯერათ მისი, როგორც საკუთარი დედიკოების. ამიტომ მის მიერ შერჩეული ლექსები ზედმიწევნით კარგად დაისწავლეს. ბავშვური გულწრფელობით სავსე ღონისძიება მანანა ტონიას საბავშო ლექსებით სიყვარულზე ესაუბრებოდა დარბაზში მაყურებლად მსხდომ მშობლებს, პადაგოგებს, უფროსკლასელებს.

საბავშვო ლიტერატურის, საბავშვო მწერლების, პოეტების, სიმღერების დეფიციტი სულ უფრო თვალშისაცემია. ამაზე პრაქტიკოსი პედაგოგები და არა მხოლოდ ისინი, ხშირად საუბრობენ. ამ ფონზე კიდევ უფრო მისასალმებელია დაწყებითი კლასების მოსწავლეების უშუალოდ პოეტთან შეხვედრა. ისინიც ბავშვურად გრძნობამორეული კითხულობდნენ სტუმრად მოსული პოეტის ლექსებს. სიმღერითაც შეასრულეს ერთ-ერთი ლექსი, რომელიც მათი მუსიკის პედაგოგმა ლელა გოლიაძემ ცნობილ მელოდიას მოარგო. არც ქართული ცეკვის გარეშე დარჩენილა ის ღამაზი და თბილი ღონისძიება.

მანანა ტონია, როგორც თავად აღნიშნა, 12 საბავშვო კრებულის ავტორია, ერთ მათგანს, რამდენიმე სერიას რომ მოიცავს, "სოფოს ბებო" ჰქვია. და იმიტომ, რომ სოფო მისი პირველი შვილიშვილია. შემდეგ თედო დაიბადა და ბებომაც "თედოს ნაამბობი" აჩუქა ბავშვებს. გარდა საბავშვო ლექსებისა, პოეტი 2 ლირიული კრებულის და სონეტების ავტორია. მალე კი მისი ზღაპრების, იგავებისა და გამოცანების კრებულიც გამოვა სამზეოზე. ეს კიდევ ერთი კარგი საშუალება იქნება თანამედროვე საბავშო ლიტერატურის განსავითარებლად. ამჯერად დედაქალაქში ცხოვრობს მანანა ტონია. თბილისის სამასამდე საბავშვო ბაღმა უკვე მოუწყო მას შეხვედრა. მაგრამ, როგორც აღნიშნა: "ეს პირველი შეხვედრაა ჩემს რაიონში რომ მომიწყვეს და იგი ჩემთვის განსაკუთრებულია, რადგან ჩემს სკოლაში ვარ, იმ ქალაქის უძველეს, დიდი და სახელოვანი ტრადიციების მქონე სკოლაში, სადაც ჩემი ბავშვობის წლებმა გაირბინა. საბავშვო ლექსების წერისას ყოველთვის ვფიქრობ, როგორი ლექსი მომეწონებოდა პატარა რომ ვიყავი. ეს ორმაგად რთული საქმეა. ვცდილობ, ბავშვური სიხალასე და სითბო ჩავდო მათში. ბავშვების ხასიათს კარგად ვიცნობ, იმიტომ, რომ წარსულში რუსული ენისა და მუსიკის პედაგოგი გახლდით." თავის მხრივ თბილი სიტყვები არ დაეშურა მშობლიური სკოლის მისამართით და სკოლის დირექტორი ნინო ონიანიც გულწრფელი სითბოთი მიესალმა სტუმრად მოწვეულ პოეტს.

პედაგოგი მედეა გეგეშიძე კი ამბობდა: "მაშინ, როცა თანამედროვე საბავშვო მხატვრული ლიტერატურის ასეთი დეფიციტია, ორმაგად მისასალმებელია საბავშვო პოეტების ასეთი აქტიურობა. მანანა ტონია ჩემი ბავშვობის მეგობარია და ჩემთვის განსაკუთრებით საპასუხისმგებლო იყო ამ ღონისძიებაზე მუშაობა. მიხარია, რომ ჩემს ბავშვებსაც მოეწონათ მისი შემოქმედება. როგორც აღნიშნა, მანანა ნასიამოვნები დარჩა და ეს ძალიან მიხარია."

მოსწავლეები ერთმანეთს ეცილებოდნენ, სურათი გადაეღოთ პოეტთან, რომლის ლექსებიც ისე ძალიან მოეწონათ, რომ ზეპირად ისწავლეს და მასთან შეხვედრა ბავშვობის საუკეთესო მოგონებათა სკივრში გადაინახეს.

"დედაენის" წყალობით ცოდნის გზა გახსნილია

ნათია ნაცვლიშვილი

იასამნისფერი დომინირებს საკლასო ოთახში, იასამნისფერი ბაბთებით მორთულ პატარებს ირმა მასწავლებელი ამხნევებს, არაორდინალური გაკვეთილი უნდა დაიწყოს, ი-სა და ა-ს უნდა უმასპინძლონ. მეოთხე საჯარო სკოლის პირველკლასელებს დღეს საინტერესო და მნიშვნელოვანი მისია აქვთ შესასრულებელი: ქართული ანბანის შემობრძანებას მომზადებულები უნდა დახვდნენ, ანბანისა თუ "დედაენის" გარშემო კითხვებს უნდა უპასუხონ...

პედაგოგი ირმა გაგუა პატარებს გაკვეთილის ლამაზ სამყაროში შეუძღვა, ჯადოსნურია მათთვის ეს სამყარო, დედაენის მადლით განთებული და გაცისკროვნებული...ისინი ციცქნა თითებს გააყოლებენ შავ სტრიქონებს და მეხსიერების სკივრში დააბინავებენ ულამაზესი სიტყვებით გადმოცემულ უამრავ სიბრძნეს!

ბევრი რამ იციან ამ ლამაზმა და ენერგიულმა გოგო-ბიჭებმა, იციან იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, რომ ამ კეთილმა ძიაკაცმა გვისახსოვრა "დედაენა" და მთელი ცხოვრება მიუძღვნა პატარების განათლების საქმეს, საბავშვო ქართული ლიტერატურის შექმნას. "დედაენის" პირველი გამოცემის ნიმუშთან ერთად, პატარებს პედაგოგმა ქართველთათვის ხელიხელსაგომანებელი სხვა წიგნებიც: "ბიბლია", "ქართლის ცხოვრება" და "ვეფხისტყაოსანი" აჩვენა.

ბავშვებმა კარგად გაართვეს თავი აქტივობებს, ზუსტად და შეუცდომლად უპასუხეს პედაგოგს, თუ რამდენი მარცვალი და რამდენი ხმოვანი იყო ამა თუ იმ სიტყვაში. ლექსებიც წარმოსთქვეს ენაზე, იაზე, უამრავი ეპითეტით შეამკეს გაზაფხულისა და დედაენის სიტყვა-სიმბოლო_ ია. მერე ჟირაფი ჟოზე დაეხმარა პატარებს და ოცდაცამეტივე ასო-ბგერა გააცნო მათ. პატარებმა სიტყვებიც დამარცვლეს და კარგადაც ამოიკითხეს. არც უკვდავი სიმღერის გარეშე ჩაუვლია გაკვეთილს და დასასრულს, ქართული ენისადმი აღვლენილი ხოტბა _ "ო, ენავ ჩემო" გაისმა. პატარების ერთ-ერთი აქტივობა ა-სა და ი-ს პლასტელინით გამოძერწვა იყო, რაც სენსორული და მოტორული უნარების განვითარებას უწყობს ხელს ბავშვებში. რადგან ბავშვური სამყარო და ფოიერვერკი განუყოფელი ცნებებია, ამიტომ, ფოიერვერკით დასრულდა ლამაზი და საინტერესო გაკვეთილი.

სკოლის დირექტორი, ნუგზარ კუცია: "ჩვენო საყვარელო პატარებო, გილოცავთ ანბანის შემობრძანებას, გყვარებოდეთ სამშობლო, "დედაენა", კარგი ქართველები ყოფილიყავით, ძალიან კარგები ხართ, ერთ თვეში ბევრი გისწავლიათ, ბევრ რამეში ერკვევით, მადლობა პედაგოგს, ქალბატონ ირმას, გისურვებთ, მუდამ წარმატებით გევლოთ!"

სასწავლო ნაწილი ირინა ბექაია:

"ეს არის დღე, პატარებო, რომელიც არასოდეს დაგავიწყდებათ, ძალიან გვიყვარხართ ყველა, მადლობა ქალბატონ ირმას, მადლობა თქვენ ამ ლამაზი დღისთვის, წინ ცოდნის მწვერვალებისაკენ!

დაწყებითების კათედრის ხელმძღვანელი ხათუნა ლორია: "მინდა იყოთ წარმატებულები, ისეთი ლაღები და ბედნიერები, როგორც დღეს ხართ, გვერწმუნეთ, ყველა ასეთ გაკვეთილზე ჩვენ, პედაგოგები თქვენი თანატოლები ვხდებით..."

დაწყებითების პედაგოგი, სოფიკო ჩირგაძე:

" მადლობა დღევანდელი ლამაზი და საინტერესო გაკვეთილისათვის, წარმატებები პატარებო!"

პირველკლასელებმა ანბანს უმასპინძლეს

ნათია ნაცვლიშვილი

_ ანბანის ზღაპრულ სამყაროში ვაპირებთ მოგზაურობას, დღეს ანბანის შემობრძანებას ვზეიმობთო, _ უთხრა ლამაზ გოგო-ბიჭებს თეა მასწავლებელმა და ღია გაკვეთილიც დაიწყო. მეოთხე საჯარო სკოლის პირველი მეორე კლასელების საკლასო ოთახიც ამ პატარებივით მორთულ-მოკაზმულა. გარშემო იისფერი სჭარბობს, დღეს ხომ ყვავილი ია გაკვეთილის ცენტრალური ფიგურაა, ყველა ხოტბა და დიდება მას ეკუთვნის! არც ამ პატარებმა დაიშურეს ლექსი მისთვის, დედაენისა და მისი შემქმნელისათვის.

კედელზე წარმოდგენილი ბანერები ამ პატარების წინასაანბანო აქტივობის შესახებ გვაუწყებს, ისინი მომავლის პარკში წაიყვანა პედაგოგმა თეა ადეიშვილმა. მინდოდა, პირველი გაკვეთილი უჩვეულო გამეხადა, რომ თქვენი მეხსიერებიდან წარუშლელი ყოფილიყოო, _ ბრძანა თეა მასწავლებელმა. ბავშვებმა უკვე დაგროვილი ცოდნა გაგვიზიარეს და გვითხრეს, რომ ქართულ ანბანში 33 ასო-ბგერაა, 5 ხმოვანი და 28 თანხმოვანი, მათ სხარტად გაიხსენეს გამონათქვამები ქართულ ენაზე, წარმოსთქვეს ლექსები "დედაენაზე". გაგვაოცა ცელქმა ბიჭუნამ, გაკვეთილის დაწყებამდე რომ ვერ მოისვენა, ხოლო გაკვეთილის მსვლელობისას აზრის ისეთი მობილიზება შესძლო, ბრწყინვალედ წარმოსთქვა არაათუ თავისი, სხვისი სათქმელი სიტყვაც. ძნელად მოიძებნება ქართველი, ვისაც არ წაუკითხავს "იავნანამ რა ჰქმნა?!", "ასპინძის ომი" და სხვა საუკეთესო მოთხრობები იაკობ გოგებაშვილისა _ შეახსენა პედაგოგმა ბავშვებს და წიგნის სიყვარულისკენ მოუწოდა. ამ პატარების ნათელი და სხარტი აზროვნებით ყველა დამსწრე მოიხიბლა. პედაგოგი დარწმუნებულია, რომ მას შემდეგ, რაც ქართულ ანბანს კარგად შეისწავლიან, მათში კამკამა წყაროსავით წამოვა წყურვილი ცოდნისა. მერე ყუთიდან ა და ი ამოფარფატდნენ ბუშტებთან ერთად, პატარებმა სხვადასხვა აქტივობა განახორციელეს და სტუმრის მოლოდინში გაირინდნენ. სტუმარი კი, მერი პოპინსი გახლდათ ზღაპართქვეყნიდან, მან ჯადოსნური, ულამაზესი ქართული ასობგერებით მორთული ქოლგა შეახო გოგონებს და ისინი ყველანი იებად აქცია. მერი პოპინსმა დიდი მხიარულება შემოიტანა, ყველა პატარა ერთად ამღერდა სტუმართან ერთად.

საინტერესო გაკვეთილი შეაფასა სკოლის დირექტორმა, ნუგზარ კუციამ:

"გილოცავთ ანბანის შემობრძანებას, გისურვებთ კარგ სწავლას, გიყვარდეთ დედა-სამშობლო, მადლობა თქვენ, ბავშვებო, მადლობა თეა მასწავლებელო, გისურვებთ წარმატებებს ცოდნის დიდ გზაზე!

სასწავლო ნაწილი ირინა ბექაია: "გილოცავთ ბავშვებო, ამ, მართლაცდა, დაუვიწყარ დილას, მთელი დღე კი არა, სასწავლო წელი გამყვება ეს განწყობა, მადლობა ყველას, მადლობა პედაგოგს".

დაწყებითების პედაგოგი ნონა ჯღარკავა: " ვუერთდები ყველა თქვენდამი გამოთქმულ შექებას, მართლაც, ძალიან დასამახსოვრებელი დღე იყო. წარმატებებს გისურვებთ ცოდნის ლამაზ სამყაროში".

შორენა თევზაძე, დაწყებითების პედაგოგი: "ძალიან კარგი და საინტერესო გაკვეთილი იყო, ბავშვებო, თქვენ შეძლებთ, შეუდგეთ ცოდნის მწვერვალების დაპყრობას".

სკოლის დაწყებითების კათედრის გამგე ხათუნა ლორია: "ბავშვებო, დღევანდელი დღე არის ძალიან დასამახსოვრებელი, ყველაფერი საუკეთესო დღეიდან იწყება, თქვენ ყველაფერს შეძლებთ, მადლობა თქვენ!"

ლამაზი ენა ქართული ღმერთის ჩვენთვის აურჩევია

ნათია ნაცვლიშვილი

ვიწყებთ "დედაენას!" _ მიმართა მეთერთმეტე საჯარო სკოლის დაწყებითების პედაგოგმა თამარ ხვიჩიამ თავის თვალხატულა პირველკლასელებს და ულამაზესი გოგო-ბიჭები გაირინდნენ. წინასაანბანო პერიოდი გავლილია, ეს ბავშვები ქართველთა ხელიხელსაგოგმანებელ საუნჯეს გაშლიან, "დედაენის" პირველსავე ფურცელზე თავს დახრიან და თავაწეულნი, სახეგაბრწყინებულები წარმოსთქვამენ "აი იას". მანამდე კი ლექსები უნდა წარმოსთქვან ანბანზე, დედაენაზე, ლურჯ იაზე...

ამ ბავშვების წინ უკიდეგანო სამყარო იშლება ცოდნისა და შემეცნებისა, წინ ბევრი ცხოვრებისეული დაბრკოლება ელით, "დედაენის" შრიალში რომ უნდა გადალახონ. აბჯარივით უნდა მოიმარჯვონ სწავლა და ცოდნა. ენერგიული და ნიჭიერი თაობა როგორც დაფაზე, ისე თავის პორტატულ კომპიუტერში წერს აი იას, აი იას წერენ რვეულებში და ამოიკითხავენ წიგნებში. მასწავლებელი მათ აჩვენებს იის რამდენიმე სახეობას, ფილმი კი პატარებს იაკობის შესახებ მოუთხრობს და შეახსენებს ისტორიას, თუ როგორ მიუჩინა ეროვნულმა მოღვაწემ თავის "დედაენაში" პირველი ადგილი იას. აი, რას ამბობს ავტორი: "დიდის სიხარულით მივუჩინეთ სიტყვა იას პირველი ადგილი თავისი სურათით, იმიტომ, რომ ანბანის დაწყებისათვის მეტად მოსახერხებელი სიტყვაა". კედელზე დაკიდებულ სურათზე კი, ეს ისტორია ნახატზე გაუცოცხლებია მათთვის მასწავლებელს. პატარებმა ხმოვნები დაასახელეს, სიტყვები დამარცვლეს, ასოებსა და ბგერებს შორის განსხვავებებზე ისაუბრეს. წინადადების წესი გრამატიკულად განმარტეს, პატარებმა ხელოვნების გაკვეთილზე საგანგებოდ ამ დღისათვის შექმნილი ნამუშევრები წარმოადგინეს, ბავშვებს პლასტელინით, ზოგს კანფეტით, ზოგს დედიკოს მძივებით ამოუკვეთიათ და დაუწერიათ ფურცელზე ჯადოსნური ორი სიტყვა "აი ია". პედაგოგმა მათ როგორც ხელოვნური, ისე ბუნებრივი სახით ყვავილი ია წარმოუდგინა. მერე გასაფერადებელი ნახატები დაურიგა და ბავშვებმა თავადვე გააფერადეს უმშვენიერესი ნახატი. მათი სიტყვიერი მარაგი საკმაოდ კარგია,

უამრავი სიტყვის დასახელება შეუძლიათ როგორც ა-ზე, ისე ია-ზე. ამდენად, მასწავლებლისგან ღიმილებიც დაიმსახურეს, საუკეთესოდ წარმოსთქვეს ლექსები და ასევე ფინალური სიმღერაც ლამაზად შეასრულეს.

გაკვეთილს დაესწრნენ ახალი სკოლის მოდელის კურიკულუმების განვითარებისა და დანერგვის ექსპერტი ციური ხურცილავა, ექსპერტის ასისტენტი ნინო ფხაკაძე და სკოლის დირექტორი ნანა მანჯგალაძე. მეტერთმეტე სკოლა სამტრედიაში პირველია, სადაც ახალი სკოლის მოდელი დაინერგა, ამ პროექტში საქართველოს 100 სკოლაა ჩართული, იანვრიდან მათი რიცხვი 400-მდე გაიზრდება, ახალი სკოლის მოდელის მიზანია, სკოლებმა შექმნან საკუთარ საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებული კურიკულუმები, ანუ სასწავლო გეგმები.

გაკვეთილის ბოლოს ფოიერვერკით და თემატური ტორტით აღინიშნა ბავშვების სასკოლო ცხოვრების ეს ლამაზი და შთამბეჭდავი დღე.

შემოდგომამ პატარები საშვენისად მოირგო

ქუჩიდან, ბაღ-ბოსტნიდან, ტყე-ველიდან, ყანიდან, იქამდე ბებოს სამზადიდანაც კი შემოდგომამ მეორე საბავშო ბაგა-ბაღის დარბაზში გადაინაცვლა, ოქროსფერი მზით აავსო იქაურობა და მისი აღსაზრდელები ფერად სამშვენისებად მოირგო. დიდი მხიარულება იდგა საოცრებებით სავსე ამ დარბაზში, რომელიც ყოველგვარი განსაკუთრებული გალამაზებისა და შერემონტების გარეშე, უბრალო, ბუნებრივი დეკორაციით, შემოდგომისფერი ფოთლებით, მწიფე ხილით, პატარა ირმით, გამურულ ქვაბში მოთუხთუხე თათარათი და ჩურჩხელებასხმული ხარიხით გაცილებით უკეთესი სანახავი იყო, ვიდრე ხელოვნურობა. ეს კი, უპირველესად, აქაური აღმზრდელების ფანტაზიისა და მარჯვე ხელების დამსახურებაა.

ჯადოსნური ყუთიდან ის კითხვები ამოდიოდა, რომელზეც 5-6 წლიანი ჯგუფების აღსაზრდელები სწორ პასუხებს სცემდნენ და ამგვარად ავლენდნენ ცოდნას გეოგრაფიასა და გეომეტრიაში, ქართულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში. ერთმანეთს ეცილებოდნენ ცნობილი ქართველი პოეტების ლექსების კითხვაში. და განსაკუთრებული ნიშა იმ ღონისძიებისა, დასწყისივე გახლდათ, ყანჩელის ყვითელი ფოთლების ამღერებით. ამ მელოდიაზე მოფარფატე გოგო-ბიჭები შემოდგომით "მორთულიყვნენ" და მისივე სამკაულებად ქცეულიყვნენ.

ორმა უფროსმა ჯგუფმა ერთად მოაწყო ეს ღონისძიება, რომელსაც შესაბამისი თანამედროვე ტერმინოლოგიით, "აქტივობას" ეძახიან. ამ სილამაზის შემოქმედნი 5-6 წლიანი ჯგუფის პედაგოგები, თიკო ნინუა და რუსუდან მუქერია, მათი თანაშემწეები მაკა ხუჭუა და ზანი უღრელიძე, მუსიკის პედაგოგი სოფო ბურძენიძე, მეთოდისტი იზო ხუჭუა და ბუნებრივია, ბაგა-ბაღის მმართველი ინგა კვერნაძე არიან.

სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებიდან მიწვეული სტუმრები აღფრთოვანებულები დარჩნენ. "ამ აქტივობაში ჩადებული შრომა თვალშისაცემია. ეს ჩვეულებრივი აქტივობა აღმზრდელების მონდომებით არაჩვეულებრივი გახდა. მაგრამ, ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ ამგვარი მეცადინეობა თქვენი ყოველდღიურობაა და არა საჩვენებელი ღონისძიება. მადლობა იმისთვის, რომ გაგვილამაზეთ ეს ერთი დღე. მადლობა ამ შრომისთვის თქვენს აღმზრდელებს და მადლობა, რომ არსებობენ ეს პატარები. სამომავლოდ მეტს ველოდებით თქვენგან, იმიტომ, რომ ასე მიგვაჩვიეთ." _ აღნიშნა სკოლამდელ გაერთიანებათა დირექტორის მოადგილემ აღმზრდელობით დარგში მარინა შენგელიამ.

ბოლოს ბებიამ თათარაში ჩურჩხელებიც ამოავლო და პატარებთან ერთად მხიარულად იცეკვა. შემოდგომა ზეიმობდა მეორე საბავშვო ბაგა-ბაღში, თუმცა, აქ ყველა დღე საზეიმოა, რადგან ასეთ დაწესებულებებში სხვანაირად არ შეიძლება!

თეა ბაბუნაშვილი

გთხოვთ, გაიხსენოთ, ჰომ ბავშვების გულში ბინადრობთ

ნათია ნაცვლიშვილი

ნიუსის ენაზე რომ ვთქვათ, სამტრედიის მეათე საჯარო სკოლამ 5 პედაგოგი გააცილა სკოლიდან. მაგრამ ფაქტის ოდენ კონსტანტაციით ვერ შემოვიფარგლებით, ამ ადამიანებზე აღმატებით ხარისხში უნდა ვისაუბროთ. ამიტომაც არც სკოლა შემოიფარგლა საუკეთესო პედაგოგთა უხმაურო, უსიტყვო გაცილებით. ამ პედაგოგებმა სკოლის ისტორია შექმნეს, ახალგაზრდობის ბობოქარი წლები ნიჭიერი და ლამაზი გოგო-ბიჭების დაფრთიანებას შეალიეს, ზოგიერთი მათგანის შვილების გაწვრთნაც მოასწრეს შეჭაღარავებულებმა, ახლა კი სკოლისა და მათი გზები გაიყო. მათ კვლავ შესწევთ ძალა და ენერგია, გაუხუნარი ნიჭი მომავალი თაობის განათლებას მოახმარონ, მაგრამ, სხვადასხვა გარემოებათა გამო, ასე ამჯობინეს.

ქიმიის პედაგოგს, გულნარა ნიშნიანიძეს, ფიზიკის პედაგოგს, მანანა ჯულაყიძეს, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგს, ჟუჟუნა ფრანგიშვილს, დაწყებითი კლასების პედაგოგ დალი ღამბაშიძეს, სპორტის პედაგოგ ალექსანდრე ჯალაღანიას და ბიბლიოთეკარ ანტონინა კახიანს მოსწავლეები და პედაგოგები საზეიმო საღამოს შემდეგ დაემშვიდობნენ. სხვა სკოლაში გადავიდა მათემატიკის პედაგოგი, მარინა დუნდუა.

ღამაზი ღონისძიება, რომელიც თბილ და მყუდრო გარემოში ჩატარდა, სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა, მარინა ცინცაძემ მოამაზადა.

_ უკეთილშობილესი და სათნო ჟუჟუნა მასწავლებელი, სკოლის ოქროს ფონდი დალი ღამბაშიძე, კეთილი და თბილი ანტონინა მასწავლებელი, ყველაზე გაწონასწორებული, უზადო სპეციალისტი გულიკო ნიშნიანიძე, თბილი და საყვარელი მარინა მასწავლებელი, ენერგიული, მოფუსფუსე, პოზიტიური მანანა მასწავლებელი _ ასე დაახასიათეს წამყვანებმა მარი მხეიძემ და სესილი გოგიბერიძემ პედაგოგები. კონცერტზე შესრულდა ქართული ხალხური სიმღერები, ფანდურზე შესანიშნავად მღერის და უკრავს დათო ოჩიგავა, ჟუჟუნა მასწავლებელს რუსული სიმღერით შვილიშვილი მიესალმა, მარიამ შვანგირაძემ კი ლამაზი ქართული სიმღერა შეასრულა. ძალიან თბილი ჟესტი იყო მეთერთმეტე კლასელების მიერ ყოფილი დამრიგებლის, მანანა ჯულაყიძის დასაჩუქრება, პედაგოგს კლასის სახელით სიყვარულით ომარ ლეჟავა მიესალმა და უთხრა: ახლა ვხედებით, რა მნიშვნელოვანი ყოფილხართ ჩვენთვის, უღრმესი მადლობა ყველაფრისათვის! საღამოს ბოლოს პედაგოგები მოსწავლეებმა ვალსზე მოიხმეს. ნაჩვენები იქნა ულამაზესი კლიპი, რომელმაც სკოლის პედაგოგთა ღვაწლი გაახსენა აუდიტორიას. დარბაზში ბევრს მოერია ცრემლი ძველი კადრების ცქერისას. პედაგოგების მიერ განვლილი წლების გახსენებამაც ბევრი ააცრემლა.

ჟუჟუნა ფრანგიშვილი: "დედა ბიოლოგი იყო, მან დამითმო სკოლაში საათები, მას მერე შევესისხლხორცე სკოლას, პედაგოგობის პირველი მტვერი რომ ჩავყლაპე, შემიყვარდა ეს სკოლა ძალიან, ამიტომაც ვერ გაგეყარეთ დიდხანს, თავიდან რომ დამეწყო ცხოვრება, ისევ ავირჩევდი ან მუსიკას, ან ფილოლოგობას. არ ვნანობ, ჩემო კოლეგებო, 44 წელი ცოტა არ არის, ამ სკოლამ ჩამომაყალიბა პედაგოგად, მადლობა ჩემს მოსწავლეებს, შევეზარდე ამ კოლექტივს, მადლობა ჩემს ბედსაც, რომ პედაგოგი გავხდი."

გულიკო ნიშნიანიძე: "დიდი მადლობა ასეთი გაცილებისთვის და შეხვედრისათვის, მე არსად წავსულვარ, თქვენთან ვარ, მართალია, ზოგჯერ ისე გავიდოდა დღე, დატვირთული სამუშაო რეჟიმის გამო ერთმანეთს ვერ ვნახულობდით, ისე ვიყავით ჩვენი გაკვეთილებით დაკავებულნი, მაგრამ უდიდესი სიყვარული გვაკავშირებს ერთმანეთთან. ყველა მეკითხება: რატომ წახვედი ჯერ სკოლიდანო? რძლები და შვილები მუშაობენ, დროა, ჩემს საყვარელ შვილიშვილებს გამოვადგე".

სულ 40 წლიანი მუშაობის სტაჟი აქვს, მეათე სკოლაში კი 35 წელია მუშაობს მანანა ჯულაყიძე. ის სიამოვნებით იხსენებს ერთ-ერთ ეპიზოდს:

"მაშინ ბადრი ტონია იყო სკოლის დირექტორი, 3 გაკვეთილი გამოვიდა, დიდი დასვენებაა, დირექტორი მიბარებს და მეუბნება: დამსწრე ჟაკი სახაროვია მოსული, გაკვეთილი უნდა ჩაატაროო. ფიზკულტურის გაკვეთილის შემდეგ მოვიდნენ ბიჭები და გოგონები, მოსწავლეს, ნინო გვენეტაძეს ვეუბნები, ხომ მოიყვები გაკვეთილს-თქო, ვერაო, მპასუხობს. ვუთხარი, პირი გააღე და ილაპარაკე, მე თავს დაგიქნევ, დამსწრეს კარგად არ ესმის-მეთქი, ბავშვებს ვეუბნები, ვინც იცით გაკვეთილი, 4 თითი ასწიეთ, ვინც არა, 2 თითი-თქო, ჩავატარეთ ძალიან კარგი გაკვეთილი, აეხსენი ელექტრომაგნიტური ტალღები. ბადრი ტონია მეუბნება: დამსწრეს ძალიან მოეწონეთ, შენ ხომ იცი, ძვირფას სტუმარს ასე ვერ გავუშვებთ, ახლა დედამთილს დაურეკე და უთხარი სუფრა გაამზადოსო, ასე მივიღეთ ოჯახში სტუმრები...

თქვენ ისტის თაობა ხართ, ძვირფასო ბავშვებო, ადრე მახსოვს, დერეფანში დამხვდებოდნენ ბიჭები და მთხოვდნენ: მას, დღეს გაკვეთილი არ ვიცი და არ გამიძახოო, ახლა ამას არავინ ნერვიულობს, ძალიან კარგები ხართ, ბავშვებო, მაგრამ წიგნში მეტად ჩახედვას გირჩევთ, ფიზიკის ცოდნაში სირცხვილი არ მაჭამოთ."

დალი ღამბაშიძემ გაიხსენა სკოლაში მისი მოსვლის ღამაზი წლები და მიმართა მოსწავლეებს: "მივდივარ, მაგრამ მაინც თქვენთან ვარ, ოქროს ფონდიო, რომ ბრძანეთ, ამ ოქროს ფონდის მარგალიტები თქვენ ხართ, ჩვენო მოსწავლეებო, ასე ლამაზები მენახეთ დიდხანს, ძვირფასო პედაგოგებო, თქვენი შვილები ამ სკოლაში მოიყვანეთ, ჩვენო მოსწავლეებო, ამაზე უკეთესი სკოლა ქვეყანაზე არ მეგულება". ის მისივე ლექსით მიესალმა საზოგადოებას.

ანტონინა კახიანი: "ჩემო ძვირფასებო, 50 წელია, რაც ამ სკოლაში ვარ, მე ბიბლიოთეკარად მოვედი, დალი _ პიონერხელმძღვანელად, შვილებო, მჯერა, მუდამ ერთად ვიქნებით".

სამი წელი ვიყავი თქვენთან და ილიასი არ იყოს, ეს სამი წელი დაუვიწყარიაო, ბრძანა მარინა დუნდუამ.

მეათე სკოლის დირექტორი თამარ თევზაძე: "ვერ ვიტყვი, რომ თქვენი წასვლა არ დააჩნდა სკოლას, ყველანი ძალიან ძვირფასი ადამიანები ხართ, მე და ნანა ნიკოლეიშვილმა, სასწავლო ნაწილმა ვთქვით, მოდი ერთი, გულიკო გავაბრაზოთ-თქო, მაგრამ ამაოდ, მას გაბრაზება არ დასტყობია, არც მახსოვს, როდესმე ხმას აუწიოს, ან განრისხდეს. ბრძენი, ჭკვიანი, როდესაც რაიმე დაგვჭირდება, დაუმადლებლად გვაწვდის რჩევას. ქალბატონი დალი არსად წასულა, ჩვენი ყველა სიახლის პირველი გამხმოვანებელი, ჩვენი მხარდამჭერია. მინდა, ერთი რამ თქვა: ჩემი მუშაობის განმავლობაში არსოდეს მასწავლებელი ისე არ დაფასებულა სახელმწიფოს მხრიდან, როგორც ახლა დაფასდა. წლების წინ, მახსოვს, თათბირზე რომ უთხრეს დირექტორს, თქვენ განთავისუფლებული ხართო და გულის შეტევა დაემართა, დღეს სხვა ვითარებაა. თქვენ გზა ახალ თაობას დაუთმეთ, ამ ახალგაზრდებს ახალი ურთიერთობები და მიდგომები სჭირდებათ. როცა აქ მოვედი, ვამბობდი, რომ აქ უდიდესი ხალხის ნაკვალევზე მოსვლა არ იყო ადვილი, თქვენც, ახალგაზრდებო, სწორად და ლამაზად ჩაადგით ფეხი მათ ნაკვალევზე!

ნანა ნიკოლეიშვილი, სასწავლო ნაწილის გამგე: "არ შემიძლია არ მოგეფეროთ, ჟუჟუნა მასწავლებელი ჩვენს კლასში რამდენჯერმე შემოვიდა, მახსოვს, არაჩვეულებრივი გარეგნობის, თითქმის ჩვენი ტოლი, ეს მაშინ ისეთი უცხო ამბავი იყო! მის არასტანდარტულ გაკვეთილს შოკის ეფექტი ჰქონდა, თუკი ვინმეს ვიცნობ ამ ქალაქში ერუდიტს, ეს ჟუჟუნა მასწავლებელია, გულწრფელად გეუბნებით, არ არის საკითხი, მასზე სიღრმისეულად, დაბეჯითებით საუბარი რომ არ შეეძლოს. მანანა, გულიკო და მე თითქმის ერთდროულად მოვედით სკოლაში, მანანა იუმორით სავსე, პოზიტივის შემომტანია, გულიკო სტანდარტულად გაწონასწორებული, ერწმუნეთ ამ ბავშვების დღევანდელ სიტყვებს, მათ მართლა ძალიან უყვარხართ. ერთმა ჩემმა კოლეგამ, მარინა ცინცაძემ თქვა: საუკეთესო მასწავლებლები ტოვებენ სკოლას! ეს ბავშვები არიან თქვენი შემფასებლები, ჯილდო უკვე მიღებული გაქვთ თქვენი საყვარელი მოსწავლეების სახით!"

"მასწავლებლობა იოლი საქმე როდია, ჩვენ ორი ოჯახი გვაქვს: ერთი აქ და მეორე _შინ, მადლობა ძვირფასო პედაგოგებო, ასე ერთგულად რომ ემსახურეთ საყვარელ საქმეს."_ მიმართა დაწყებითების პედაგოგმა, ნათელა გოგოტიშვილმა პედაგოგებს.

სასკოლო ოლიმპიადის მუნიციპალური ტურნირი დაიწყო

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით სამტრედიის მუნიციპალიტეტისა და ააიპ "სამტრედიის მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლის" ორგანიზებით სასკოლო სპორტული ოლიმპიადა მიმდინარეობს. შეჯიბრებები გაიმართება ფეხბურთში, მინი ფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ბადმინტონში, ხელბურთში, მხიარულ სტარტებში.

გეზრბენი გოგონებსა და ვაჟებში 23 ოქტომბერს გაიმართა, სადაც გამოვლინდნენ გამარჯვებულები: გოგონებში მე-11 საჯარო სკოლა, ვაჟებში _ ნაბაკევის საჯარო სკოლა.

27-28-29 ოქტომბერს მინი ფეხბურთში ჩატარდა შეჯიბრი, სადაც 12 გუნდმა მიიღო მონაწილეობა. გამარჯვებული გამოვლინდა მე-11 საჯარო სკოლა. ვინაიდან პრეტენდენტი არ ჰყავდა, მინი ფეხბურთში რეგიონალურ ოლიმპიადის შეჯიბრში მონაწილეობას მიიღებს წმინდა ნაზარი ლეჟავას სახელობის მართლმადიდებლური სკოლის გოგონათა გუნდი.

ფრენბურთში შეჯიბრი 16 ნოემბერს გაიმართება, 17 ნოემბერს _ ხელბურთში, 23 ნოემბერს _ ბადმინტონში, 24 ნოემბერს _ მაგიდის ჩონგბურთში, 30 ნოემბერს _ კალათბურთში, დეკემბრის პირველ რიცხვებში _ მხიარულ სტარტებში.

დავით ბახტაძე, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე: "მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი სპორტული ღონისძიებების ჩატარება მოზარდებში სპორტის პოპულარიზაციასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას უწყობს ხელს, სამტრედიის მუნიციპალიტეტი აქტიურად ახორციელებს სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებს და მისასალმებელია სკოლების მხრიდან სპორტულ ღონისძიებებში ჩართულობის დონის ამაღლება. მადლობას ვუხდი სკოლების ხელმძღვანელობას, ააიპ "კომპლექსური სპორტულ სკოლას" ოლიმპიადაში სათანადო დონეზე მონაწილეობისა და ჩატარებისათვის".

სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაში სამტრედიის მუნიციპალიტეტის მასშტაბით 16 საჯარო და ერთი _ მართლმადიდებლური სკოლაა ჩართული.

ნინო ნანიტაშვილი

ემიგრანტის ფიქრები

კვირა _ თავისუფლების დღე ემიგრაციაში

სამშობლო მუდამ თავისკენ გვიხმობს, სადაც არ უნდა ვიყოთ. სწორედ აქ, პატარა ქართულ კაფეშია ქართული სული. პრობლემური და ერთფეროვანი დღეების შემდეგ კვირა დასვენების დღეა, როცა ვიკრიბებით და ვზრუნავთ, რომ ეს დღე არაჩვეულებრივ დღედ ვაქციოთ.

კვირა დღის გათენებას ყველანი სიხარულით ველოდებით, ჩვენთვის, ემიგრანტებისთვის იგი "თავისუფლების დღეა". ვგეგმავთ წინასწარ, სად წავიდეთ, სად შევიკრიბოთ, როგორ განვიტვირთოთ რამდენიმე საათი და ისე გავატაროთ დღე, რომ მომდევნო კვირა დღემდე ამ ემოციებით გავძლოთ.

არის აქ ერთი ქართული კაფე: "ანგა" და იქ გადავწყვიტეთ შევკრებილიყავით, სადაც, თურმე, სიურპრიზი გვხვდებოდა: საუცხოოდ მოწყობილი და მორთული იყო დარბაზი და გველოდა, მხიარულ გარემოცვაში ყოფნა. მოწვეული იყო მომღერალი და ახალგაზრდა მწერალი, მივუსხედით მაგიდებს. ერთმა გოგონამ ყუთი ჩამოატარა, საიდანაც უნდა ამოგვეღო კონვერტები, გახსნის შემდეგ აღმოჩნდა შემდეგი: კონვერტში ფურცელზე ეწერა, რაც უნდა შესრულებულიყო. იყო ასეთი წინადადება, შენი საყვარელი სიმღერა, ცეკვა, ლექსი, სადღეგრძელო, კურიოზი და სხვა ბევრი, რაც კარგ განწყობას შემოიტანდა. გაგვახალისა. გამხიარულდნენ ემიგრანტები, მაგრამ თითოეულის თვალებში მაინც სევდა იგრძნობოდა. ვინ მოთვლის, რამდენი სადარდებელი იმალება მათი გაღიმებული სახეების უკან, ფიქრებში, გულში. ადამიანების უმრავლესობას ჰგონია, რომ სტრესიდან განთავისუფლება სასმელით და გართობითაა შესაძლებელი. სასმელი კარგ ხასიათზე გაყენებს, ამ დროს ცხოვრება გვიხარია, მაგრამ ეს ყველაფერი დროებითია.

სინამდვილეში ადამიანი გაურბის წარსულის ფიქრებს, რეალობას. გახსენდება განვლილი ცხოვრება. არ ხარ დამძიმებული. დიახ, რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, ეს ასეა, ემიგრანტები შექების ღირსნი არიან, ისინიც ცხოვრების ჭაპანს ორმაგი სიმძიმით ექაჩებიან.

ნატალი ეგრისელი

ღანირში, მძლეოსნობის ბაზაზე...

ნინო ნანიტაშვილი

"სამტრედიის მაცნემ" შემოდგომის ფერები თამაზ გოგიბერიძის იმერულ კარ-მიდამოში წელსაც დააფიქსირა. სამტრედიის მუნიციპალიტეტში თითქმის ყველასთვის ცნობილია სოფელ ღანირში გოგიბერიძეების კოპწია ეზოში, მოყვარული ფლორისტ-დეკორატორის, ბატონი თამაზის, მდიდარი ფანტაზიითა და მარჯვე ხელით შექმნილი კომპოზიციები: საკარმიდამო ნაკვეთს ამშვენებს ფანჩატურები, მარადმწვანე დეკორატიული მცენარეები, მოხდენილი პატარა ხიდ-ბოგირები, საქანელები. რამდენიმე ლოკაციაზე გაშლილია იმერული სუფრის დამახასიათებელი დეტალები. ეზოში შინაურ ფრინველებთან ერთად დაგოგმანებენ იშვიათი ჯიშის ფრინველები.

თამაზ გოგიბერიძის მამული მარტო ლამაზი, იმერული პეწით და გულითადი სტუმარმასპინძლობით არ არის განთქმული. საკუთარ ეზოში პატრონმა თავის დროზე საფუძველი ჩაუყარა სპორტულ კომპლექსს, სადაც წლებია, ახალგაზრდები მძლეოსნობაში იწვრთნებიან.

52 წლის სტაჟის მქონე მძლეოსნობის მწვრთნელ-მასწავლებელი, თამაზ გოგიბერიძე მოზარდებს თავდაპირველად სამტრედიის "ლოკომოტივის" სტადიონზე ავარჯიშებდა. 15 წელია, სპორტული ბაზა საკუთარ ეზოში მოაწყო: სარბენი ბილიკები, სიგრძეზე სახტომი ორმო, ბირთვის კვრის სექტორი, აქ ყველა პირობაა შექმნილი, რათა ბავშვებმა

სრულყოფილად ივარჯიშონ. ბაზაზე, ძირითადად, ღანირისა და მიმდებარე სოფლების საჯარო სკოლების მოსწავლეები იწვრთნებიან. ამ ეტაპზე ინტენსიურად 10 მოზარდი ვარჯიშობს. წელს ჯგუფმა ორი, დამწყები სპორტსმენი დაიმატა, თავისი მონაცემებით გამორჩეული ლუკა სისაური და მწვრთნელის აღმოჩენა, 12 წლის მარიამ თხილავა.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსურ სპორტულ სკოლაში მძლეოსნობის ორი ჯგუფი ფუნქციონირებს: ერთი _ მე-11 სკოლის ბაზაზე, რომელსაც გელა ცინცაძე ხელმძღვანელობს და მეორე _ სოფელ ღანირში.

კომპლექსური სპორტული სკოლის ხელმძღვანელი ვანო კილტავა პერიოდულად ჩადის ღანირში და თვალს ადევნებს ვარჯიშებს. იგი თავადაც მძლეოსანი გახლავთ, სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაცია კი ვანო კილტავასთვის ორმაგად მნიშვნელოვანია.

ღანირის მძლეოსნობის ბაზაზე ბევრი წარმატებული სპორტსმენი აღიზარდა. ბოლო პერიოდში ჯგუფმა საკმაოდ ნაყოფიერად იასპარეზა სამეგრელო-ზემო სვანეთის პირველობაზე. საპრიზო ადგილის გარეშე თამაზ გოგიბერიძის არც ერთი მოსწავლე დარჩენილა.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლის უფროსი მწვრთვნელ-მასწავლებელი, თამაზ გოგიბერიძე სამომავლოდ ბავშვებთან მუშაობას და მძლეოსნობის პოპულარიზაციას კიდევ ახალი მიღწევებით გვპირდება.

ამჯერადაც გვასახელეს

18-20 ოქტომბერს ქალაქ რუსთავში ჩატარდა საქალაქთაშორისო ტურნირი _ ღია რინგი კინგბოგსინგში, რომელშიც სამტრედიის კომპლექსური სპორტული სკოლის (დირექტორი ივანე კილტავა, მწვრთნელ-მასწავლებელი კობა კიკაჩეიშვილი) სპორტსმენები მონაწილეობდნენ.

სამტრედიელ სპორტსმენთა წარმატებებს ნაჩვევთ, იმედი არც ამჯერად გაგვიცრუვდა, ისინი გამარჯვებულები დაბრუნდნენ, კერძოდ, პირველი ადგილების მფლობელები გახდნენ ზვიად კვანჭიანი (32 კილოგრამი წონითი კატეგორია);

ზვიად კვანჭიანი (30 კილოგრამი წონითი კატეგორია);

ბაბილინა კიკაჩეიშვილი (31 კილოგრამი წონითი კატეგორია);

ავთანდილ კოპალეიშვილი (41 კილოგრამი წონითი კატეგორია);

ლუკა კოპალეიშვილი (30 კილოგრამი წონითი კატეგორია), ხოლო ლუკა კიკაჩეიშვილი (30 კილოგრამი წონითი კატეგორია) მეორე ადგილს დასჯერდა.

ვულოცავთ სპორტსმენებს, მათ მწვრთნელს კიდევ ერთ გამარჯვებას და წარმატებებს ვუსურვებთ მომავალ ასპარეზობებში.

ლევან გაბეჩავა

ვაჟა ტერელაძე

გახსენება

წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან. რაც დრო გადის, უფრო მძიმე და სევდიანია უშენობა. ჩვენ ხომ განუყრელი მეგობრები ვიყავით ათეული წლის მანძილზე. ერთი გვქონდა ჭირი თუ ლხინი. კაცური კაცის სახელი დატოვე და თავს იმითლა ვინუგეშებთ, რომ უფალი შენს სულს მართალთა ზეციურ სასუფეველში დაავანებდა.

ნათელში იყავი, ჩვენო დაუვიწყარო მეგობარო, ჩვენო ვაჟა.

მერაბ არჩვაძე ოჯახით

გამოვლინდენ ფინალისტები

იაპონიაში დასასრულს უახლოვდება მსოფლიოს ჩემპიონატი რაგბში. გასულ შაბათ-კვირას გაიმართა პლეი-ოფის ნახევარფინალური მატჩები, სადაც გამოვლინდნენ ფინალისტები. 26 ოქტომბერი _ ინგლისი-ახალი ზელანდია 19 : 7. 27 ოქტომბერი _ უელსი-სამხრეთ აფრიკა 16 : 19.

ამრიგად, ფინალურ მატჩში 2 ნოემბერს იოკოჰამაში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან ინგლისისა და სამხრეთ აფრიკის ეროვნული ნაკრები გუნდები. ხოლო, წინა დღეს, 1 ნოემბერს, ტოკიოში მესამე საპრიზო ადგილისთვის ბრძოლაში ერთმანეთის პირისპირ წარსდგებიან ახალი ზელანდიისა და უელსის ეროვნული ნაკრები გუნდები.

მზადების მიზნით

საქართველოს 17 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრებმა (მთავარი მწვრთნელი გიორგი ჩიტაური) ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მზადების მიზნით 24 ოქტომბერს თბილისში მიხეილ მესხის სახელობის "ლოკომოტივის" სათადარიგო სტადიონზე ჩაატარა საბერძნეთის ნაკრებთან და დაამარცხა იგი ანგარიშით 2 : 0.

ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრებს საქართველოს 17 წლამდელთა ნაკრები, რომელიც მერვე ჯგუფში მოხვდა, პორტუგალიაში გამართავს, 13 ნოემბერს _ უკრაინასთან, 16 ნოემბერს _ პორტუგალიასთან და 19 ნოემბერს _ ალბანეთთან.

ბელგია პირველობას არ თმობს

ამ დღეებში მსოფლიო ფეხბურთის მმართველმა ორგანომ ფიფამ ოქტომბრის თვის განახლებული მორიგი ტრადიციული მსოფლიოს სანაკრებო რეიტინგი გამოაქვეყნა.

რეიტინგს კვლავინდებურად 1755 ქულით უდგას ბელგიის ეროვნული ნაკრები. მეორე ადგილი 1726 ქულით უკავია მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებს. მესამე პოზიციას 1715 ქულით ინარჩუნებს მსოფლიოს 5 გზის ჩემპიონი ბრაზილიის ეროვნული ნაკრები. ხოლო რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს წინა თვესთან შედარებით ერთი საფეხურით წაიწია წინ და 1274 ქულით 90-ე ადგილი უკავია.

იორამ ნიკოლეიშვილი

მეცნიერებმა ძილთან დაკავშირებით საინტერესო ფაქტები აღმოაჩინეს

რამდენი დრო სჭირდება ადამიანს დასაძინებლად და რატომ უჭირს ზოგიერთს დაძინება? ამ შეკითხვებზე პასუხის მიღებას კემბრიჯის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობით შექმნილი მკვლევართა საერთაშორისო ჯგუფი შეეცადა. ინფორმაციას BBC ავრცელებს.

მეცნიერებმა შეისწავლეს პროცესი, როდესაც ადამიანი თავის მიერ კონტროლირებული მდგომარეობიდან უკონტროლო მდგომარეობაში გადადის.

ღვიძილიდან ძილში გადასვლის პერიოდი საშუალოდ 5-დან 20 წუთამდე გრძელდება. ამ დროის განმავლობაში ადამიანები სხვადასხვანაირად იქცევიან. ზოგიერთი ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ იძინებს, ზოგისთვის კი პროცესი უფრო რთულია - ჩათვლემენ თუ არა ისევ ეღვიძებათ და საბოლოოდ დაძინება უჭირთ.

მეცნიერთა ჯგუფის ხელმძღვანელი ტრისტან ბეკინშტაინი იმასაც ამბობს, რომ არსებობს ადამიანთა კატეგორია, რომელსაც გაამრეულად (ხელოვნურად) შეუძლია ძილის პროცესი შეაჩეროს. მათ ერთი პარადოქსიც აღმოაჩინეს - ადამიანს, რომელსაც ყველაზე მეტად სურს ძილი, დაძინება უჭირს.

მეცნიერები იმასაც ამბობენ, რომ დაძინების პროცესი კრეატიულობასთანაც არის დაკავშირებული. ამ დროს ადამიანები სხვანაირად იწყებენ ფიქრს. სწორედ ამიტომ არის, რომ პირთა გარკვეული კატეგორია მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებას დილით ამჯობინებს - ისინი ფიქრობენ,რომ ღამე მოვლენას, საკითხს უკეთ გაანალიზებენ. ბევრ მხატვარს, მწერალს და მუსიკოსს უთქვამს, რომ საუკეთესო იდეები სწორედ ღამით გაუჩნდათ.

მეცნიერებმა ისიც დაასკვნეს, რომ ადამიანებს ძილში დროის კონტროლი შეუძლიათ. მაგალითად, ხშირ შემთხვევაში, ვისაც დილით ადრე უწევს თვითმფრინავით გაფრენა, მაღვიძარამე რამდენიმე წუთით ადრე იღვიძებენ.

კვლევები ბილ გეიტსის დაფინანსებით ჩატარდა.

ყვავილების სახლი

“ლავანდა”

შემოქმედებითი ხედვა ბიზნესში

ლავანდის ისტორია საუკუნეების სიღრმეში იკარგება: ლავანდის ყვავილთა სურნელება მდიდარი ეგვიპტელი ქალბატონების პარფიუმერიის ძირითადი შემადგენელი იყო. მედიცინის მამა ჰიპოკრატე წერდა, რომ ლავანდა გარდასულ წელთაგან დაღლილ გონებას ათბობს, მის გამხმარ ყვავილებს რომაულ აბანოებში დასაბანად იყენებდნენ საპნის ნაცვლად, საპონი გამოგონილი რომ არ იყო.

ლავანდას, დიფენბახიას, შეფლერას, ფიკუსს, გაულტერას, ბრასიკას, ქრიზანთემას, გუზმანიას და სხვა ულამაზეს ყვავილს სწორედ იმ ყვავილების სახლში შეიძენთ, რომელიც ახლახან სამტრედიის ცენტრში გაიხსნა. “ლავანდა” ასე ჰქვია ახალ ყვავილების სახლს, რომელიც დიდ ესთეტიკურ ტკბობას მიანიჭებს სამტრედიელებს და არა მარტო მათ.

სახლის მენეჯერი ნათია ჯიბაშვილი პროფესიით ეკონომისტია, თუმცა, ყვავილების უსაზღვრო სიყვარულმა იგი ყვავილების სახლის იდეამდე მიიყვანა. პრეზენტაციას ძირითადად ქალბატონები დაესწრნენ, თუმცა, არც მამაკაცები ჰასიურობდნენ. ისინი კმაყოფილნი შეხვდნენ ამ სიახლეს მუნიციპალიტეტში, ბევრმა მათგანმა ყვავილებიც შეიძინა და სხვა ნივთებიც, რომელთა ფართო ასორტიმენტი იყო წარმოდგენილი.

“სამტრედიის მაცნე” ნათია ჯიბაშვილს გაესაუბრა:

_ რატომ ყვავილების და არა სხვა ბიზნესი? თქვენს სფეროსთან ახლოს დგას?

_ ჩემს სფეროსთან არ დგას ახლოს, შეიძლება ითქვას, რომ მე შევიცვალე პროფესია, ალბათ, ვიპოვე ჩემი თავი, იმდენად მიყვარს ყვავილები, ეს სამსახური არ არის, ეს არის განწყობა, სასიამოვნო გარემო, აქ არ მოდიხარ, როგორც სამსახურში, აკეთებ ამ საქმეს სულით, გულით, ხარ სილამაზეში, ეს საოცარი შეგრძნებაა. არ შეიძლება, ადამიანს ყვავილთან ჰქონდეს ურთიერთობა და არ უყვარდეს ყვავილი! ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი პროფესია არის ფლორისტი.

_ რა სეგმენტზეა გათვლილი ეს მაღაზია? შემოვლენ თუ არა აქ ყველა შესაძლებლობის მქონე მოქალაქეები?

_ შევეცდებით, ყველა მომხმარებელს ყველანაირად შევუწყოთ ხელი, ჩვენ გვაქვს ჰოლანდიიდან ჩამოტანილი ყვავილები: ეკენია, ეკვადორი, ასევე გვაქვს ქართული ყვავილი, ფასი ათი ლარიდან იწყება, რა თქმა უნდა, მომხმარებელი იქნება კმაყოფილი ფასით, ხარისხით, მომსახურებით, ამიტომ, იმედი მაქვს, ჩვენი მომხმარებელი კმაყოფილი დარჩება.

ფოტოგრაფი ზურაბ ჯიბლაძე სამტრედიის ყველა საინტერესო თავყრილობის განუყოფელი მონაწილეა. შეკითხვით მასაც მივმართეთ:

_ როგორც შემოქმედი, როგორ შეაფასებთ, რამდენად კარგი მიდგომაა, შემოქმედებითი ხედვაა ამ ახალ ობიექტზე?

_ პირველ რიგში, მივულოცავ ნათიას და ძალიან ლამაზ გუნდს ასევე ძალიან ლამაზი მაღაზიის გახსნას, საკმაოდ განსხვავებულია, სხვა ხედვა არის, ძალიან ბევრი უცხო, ბუნებრივი და ლამაზი ყვავილია, მგონია, სამტრედიას ძალიან მოუხდება და ვფიქრობ, ყველა სამტრედიელი თავის რჩეულს ამ ლამაზ ყვავილებს მიართმევს. ვუსურვებ ამ გუნდს დიდ წარმატებებს.

_ დღეს ვისთვის შეიძენთ ყვავილებს?

_ დედაჩემისთვის.

_ ხათუნა გაგუა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების ხელმძღვანელი:

ეს არის გემოვნებიანი ყვავილების სახლი, რაც უფრო მეტი გაიხსნება ასეთი ობიექტი სამტრედიაში, უკეთესი იქნება.''

ნანა თევზაძე: ''ძალიან კმაყოფილი ვარ, სილამაზე შეემატა ჩვენს ქალაქს ლამაზი ადამიანების წყალობით და ხშირად მოვაკითხავთ, აუცილებლად გავაკეთებ დღეს შენაძენს, მიუხედავად იმისა, რომ ყვავილებიც ძალიან მიყვარს, ნივთებიც მიყვარს, ის ამ ლამაზი დღის სამახსოვროდ დამრჩება.''

მაკა გელეიშვილი, სილამაზის სალონ “პარიზის” მფლობელი:

''მოლოდინს გადააჭარბა-თქო, ვერ ვიტყვი, იმიტომ, რომ ძალიან გემოვნებიანმა გოგონამ გახსნა და შესაბამისად, იქნება საუკეთესო, წარმატებები ამ ლამაზ სახლს.

სალომე გაგუა: ''ძალიან ლამაზი გარემოა, ახალი სიტყვა ძალიან სჭირდება სამტრედიას და სწორედ ახალი სიტყვის დასაწყისია ეს დღე''.

მაიკო ცინცაძე სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების სპეციალისტი: ''აღფრთოვანებული ვარ, რა სილამაზეა, ძალიან დიდი ესთეტიკური სიამოვნება მივიღე, წარმატებები!''

ბელა ცუცქირიძე, ყვავილების სახლ “ლავანდას” წარმომადგენელი:

''გვექნება ყველა მომხმარებლისთვის ყვავილები ეკვადორიდან, ჰოლანდიიდან კენიიდან, გვექნება ქართული, სომხური, ირანული, ყველა ფასის, ასევე გვექნება ჭურჭელი, ვეცდებით, განსხვავებული ჭურჭელი შემოვიტანოთ, გავაკეთოთ ისეთი თაიგულები, სხვას რომ არ აქვს, ვცდილობთ, გამოვირჩეოდეთ სხვისგან, რადგან სამტრედიას ეს სჭირდება, სამტრედიაში ცხოვრობს ძალიან გემოვნებიანი და შეძლებული ხალხი, ვიმედოვნებთ, ყველა ოჯახთან ვითანამშრომლებთ''.

ნათია ნაცვლიშვილი

ვულოცავთ!

ბატონ მიტუშა ზამთარაძეს!

პატივისცემით გილოცავთ საიუბილეო თარიღს, 90 წლის შესრულებას. ხანგრძლივ სიცოცხლესა და ბედნიერ დღეთა სიუხვეს გისურვებთ თქვენს ოჯახთან ერთად.

ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა სამტრედიის რაიონული კავშირი

მიხეილ მამასახლისს!

პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს. უფალმა დაგიცვათ და გაგაძლიეროთ, თქვენ და თქვენი ოჯახი!

“სამტრედიის მაცნე”

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 599 02 41 11

მაცნე სამტრედიის

დირექტორი	ბეჭან გოგია
მთავარი რედაქტორი	ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი	თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი	ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული გრაფიკა	მაკა პაპავა